გილოცავთ, შობა-ახალ წელს!

# ბორჯომი

1 იანვარი
შაბათი
2022 წელი
№1 (9211)
ფასი 40 თეთრი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან


## გვილოცავენ

### მშვიდობას და ჯანმრთელობას გისურვებთ!

**სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი სამცხე-ჯავახეთის მხარეში ბესიკ ამირანაშვილი**

მინდა ჩემს სამცხე-ჯავახეთს და სრულიად საქართველოს მივულოცო შობა-ახალი წელი

2022 წელი თითოეული ჩვენგანისთვის იყოს მშვიდობის, ქვეყნის გამთლიანების, აღმავლობის და ჯანმრთელობის მომტანი წელი!

## ერთად ვიბრუნოთ წარმატებებისათვის!

**ახალციხე-ადიგენი-ასპინძა-ბორჯომის მაჟორიტარი პარლამენტის წევრი ანტონ ობოლაშვილი**

ძვირფასო ბორჯომელებო,

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს, ბორჯომს, ბორჯომელებს და სრულიად საქართველოს ვუსურვებ მშვიდობას, ჯანმრთელობას, კეთილდღეობას, წინსვლასა და წარმატებას.

2021 წელი ერთიანი ძალისხმევით, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლებისა და მოსახლეობის ჩართულობით მაქსიმალურად პროდუქტიულად გამოვიყენეთ. შევეცადეთ დაგვეძლია ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე ყველა გამოწვევა. მომავალშიც, ჩვენ კვლავ ერთად გავაგრძელებთ ბრძოლას წარმატებისთვის.

განსაკუთრებული პატივისცემა მინდა გამოვხატო გაზეთი „ბორჯომის" რედაქტორის, ვალერიან ლომიძის, რედაქციის კოლექტივის და სამუშაო ჯგუფის მიმართ. დაე, 2022 წელი იყოს მეტი სიკეთის, კეთილდღეობისა და ბედნიერების მომტანი თითოეული ჩვენგანისათვის.

ღმერთი იყოს ჩვენი და სრულიად საქართველოს მფარველი!

## ერთობლივი შრომით ბევრს მივაღწევთ!




**ბორჯომელებო,** ძვირფასო მეგობრებო, გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! გისურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობას და წარმატებას. მინდა, რომ ახალი 2022 წელი კიდევ უფრო მეტად წარმატებული და ნაყოფიერი ყოფილიყოს თითოეული თქვენგანისთვის. გპირდებით, რომ ჩვენ ძალისხმევას არ დავიშურებთ თქვენი უკეთესი მომავლისა და კეთილდღეობისთვის. ჩვენ ერთად ყველა გამოწვევას წარმატებით გავართმევთ თავს და ბორჯომი ერთ-ერთი მოწინავე მუნიციპალიტეტი იქნება საქართველოში! ჯანმრთელობას, სულიე სიმშვიდეს, ხვავს და ბარაქას გისურვებთ თქვენ და სრულიად საქართველოს!

**ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო.**

## ახალი წლის სამზადისი

**საახალწლო** სამზადისი ბორჯომის მუნიციპალიტეტში 22 დეკემბრიდან დაიწყო. ქალაქის ცენტრში მთავარი ნაძვის ხის ანთების ცერემონია 22 დეკემბერს ოთხი საათიდან გაიმართა. პატარების სადღესასწაულო განწყობაზე იზრუნა ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებულმა საბავშვო გუნდმა **დავით არჩვაძის** ხელმძღვანელობით. საღამოს მეტი გასართობი მუხტი შემოემატა, როცა იუმორისტი **ჯიმი აბესაძე** გამოჩნდა - მას დაევალა საღამოს წამყვანობა. **გელა გნოლიძის** ყველასთვის საყვარელი ბენდი გოგონების თანხლებით არაჩვეულებრივ ქართულ სიმღერების გათანამედროვებულ ვერსიებს წარმატებით გვთავაზობდა. დადგა 6 საათიც, როცა ფიფქასთან ერთად თოვლის ბაბუამ აანთო ნაძვის ხე. წინასაახალწლო ღონისძიებების გახსნას ბორჯომის მუნიციპალიტეტის პირველი პირებიც ესწრებოდნენ, რომლებმაც ტკბილეული და საჩუქრები არ დაივიწყეს პატარებისთვის. წელს, უპრეცენდენტოდ ბევრი ბავშვი აღმოჩნდა თოვლის ბაბუს ხურჯინთან, აქედან გამომდინარე, მალევე ამოიწურა საჩუქრების მარაგი. ატირებულ პატარებს უფროსები ამშვიდებდნენ - ალბათ, ესეც დაუვიწყარ კადრად დარჩება პანდემიური ახალი წლიდან. დღესასწაული ფეიერვერკით დასრულდა. დაგეგმილ დეტალებზე და შემდეგ გეგმებზე ვესაუბრეთ ბორჯომის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდობასთან ურთიერთობისა და ტურიზმის სამსახურის ხელმძღვანელს, **მარინა ხუჯაძეს:** წელს წინასაახალწლო საჩუქრებისთვის გამოიყო 4 000 ლარი, როგორც ამ საღამოზე მოსული ბავშვებისთვის, ისე ახალი წლის ღამეს დამსწრე პატარებისთვის. სულ 200 ცალი შეკვრაა მზად. თითო სასაჩუქრე ნაკრები 20 ლარის ღირებულებისაა.

**- გთხოვთ, შეაფასოთ გასული წელი?**

- მართალია, კონცერტებს, სპექტაკლებს და ხალხმრავალ, მასშტაბულ ღონისძიებებს ვერ ვახორციელებდით და „გაყინული" იყო კულტურული ცხოვრება, მაგრამ მაინც ძალიან კარგი პროგრამა შევიმუშავეთ. რამდენი წელი ვიბრძოლე იმისთვის, რომ სტუდენტების წახალისების პროგრამა წარმატებით ამოქმედებულიყო. **დავით ზაალიშვილი** აღმოჩნდა ის, ვინც მართლაც გულისყურით მომისმინა და მოვინდომეთ ეს გაგვეკეთებინა. ამ ფარგლებში პირველ სემესტრში გაიცა სულ 53 000 ლარი, ხოლო მეორე სემესტრისათვის - 48 000 ლარი. ეს დიდი სტიმული აღმოჩნდა მრავალი სტუდენტისთვის, ვიცი, როგორ ამაღლდა მათი აკადემიური მოსწრება, რათა მოეპოვებინათ ჯილდოდ 1000 ლარი. უკვე ორჯერადად ბევრი სტუდენტი დაფინანსდა. ჯამში - 62 სტუდენტი. როგორც კი საშუალება გამოჩნდება, კერძო უნივერსიტეტების სტუდენტებსაც დავამატებთ პროგრამაში. ყველაზე წარმატებულ ნაბიჯად და ჩვენი სამსახურის დამსახურებადაც ეს მიმაჩნია.

**- რისი მოლოდინი უნდა გვქონდეს ბორჯომის მოქალაქეებს ახალი წლის ღამეს? როგორია მუნიციპალიტეტის საორიენტაციო პროგრამა?**

- 31 დეკემბერი დღის პირველი საათიდან აქტიურად დაიწყება. ვამზადებთ კუთხეს, სადაც გამოფენა-გაყიდვა გაიმართება. მთავარ ნაძვის ხესთან განთავსდება სანტას სახლი, საიდანაც თოვლის ბაბუ და ყინულის დედოფალი პატარებისთვის დაარიგებენ საჩუქრებს და გადაიღებენ ფოტოებს, ასევე მოეწყობა ფოტო-გადაღების კუთხე. ორ საათზე დაგეგმილია ბორჯომის თოჯინების თეატრის სპექტაკლი ნაძვის ხესთან. სამი საათიდან ტრადიციულად, შესაძლებლობა მიეცემათ ადგილობრივი ცეკვისა და სიმღერის ანსამბლებს გამართონ მონატრებული კონცერტი საღამოს 6 საათამდე. ამის პარალელურად, მთელი დღის განმავლობაში გაიმართება სხვადასხვა სახის შოუები: ცეცხლოვანი, ოჩოფეხების, დრამერების და ქუჩებს დაამშვენებს ზღაპრის გმირების ფორმებში გამოწყობილი მსახიობები. გრანდიოზული ახალი წლის კონცერტში მონაწილეობას მიიღებს ზუკა ხუციშვილი ბენდთან ერთად და მომღერალი გიორგი სუხიტაშვილი. გალა კონცერტს გაუძღვება წამყვანი ეკო ფანგანი.

**- მოდის 2022 წელი, თქვენი იმედები, ვარაუდები გაგვიზიარეთ მიახლოებით მაინც როგორც კულტურის, ისე სხვა მიმართულებებით?**

- ძალიან კარგ ამბებს ვაანონსებ 2022 წლისთვის, მთავარია, შეგვეძლოს ღონისძიებების ჩატარება. იმედს ვიტოვებ, რომ შემცირდება პანდემია. უკლებლივ ყველას ვუსურვებ ახლი წელი იყოს ბედნირების, სიყვარულისა და სიკეთის მომტანი.

ესაუბრა **მონიკა ჭანტურია**

## თქვენს სიცოცხლეს გაუმარჯოს, პატრიარქო!

2021 წლის 25 დეკემბერს, საქართველოს პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს, ილია მეორეს აღსაყდრებიდან 44 წელი შეუსრულდა. ამ ხნის მანძილზე ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ პატრიარქის დაუღალავი გარჯით უდიდეს წარმატებებს მიაღწია. აშენდა და რესტავრაცია ჩაუტარდა ასობით ეკლესია-მონასტერს, მნიშვნელოვნად გაიზარდა მრევლის რაოდენობა, განმტკიცდა ერის სულიერება.

უწმინდესის ქადაგებები და ეპისტოლეები განმსჭვალულია სამშობლოსადმი უსაზღვროდ დიდი სიყვარულით, უფლის პატივისცემით, შემწყნარებლობისა და განათლებისაკენ სწრაფვისადმი, რომელიც ყველაზე მეტად ესაჭიროება დღევანდელ საქრთველოს.

ვულოცავ უწმინდესაა და უნეტარეს აღსაყდრების 44 წლისთავს. დიდხანს სიცოცხლეს ვუსუსრვებთ ქართველი ერის საიმედოდ.

## დამტკიცდა მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი

**2021 წლის 24 დეკემბერს გაიმართა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გეგმიური სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე დავით ზაალიშვილი.**

**დეპუტატყებმა ერთხმად დაამტკიცეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი.**

**იმსჯელეს ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის 2022 წლის სოციალური დახმარების პროგრამების და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.**

**ასევე დაამტკიცეს ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარჩინებული სტუდენტების ხელშეწყობის პროგრამა.**

**ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 აპრილის №78 დადგენილებაში.**

**ცვლილებები შევიდა „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 2 მარტის №4 დადგენილებაში.**

**ასევე ცვლილებები შეიტანეს „საკრებულოს წევრის საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს №38 დადგენილებაში. ასევე ცვლილებები შევიდა „სსიპ ბაკურიანის განვითარების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ივნისის №14 დადგენილებაში და „ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №30 დადგენილებაში.**

**დაამტკიცეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის 9 (ცხრა) თვის შესრულების ანგარიში.**

**მხარი დაუჭირეს მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ წარმოდგენილ პროექტს.**

**ასევე დაამტკიცეს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ბორჯომის მუნიციპალიტეტში 2022 წელს დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებები.**

**განსაზღვრეს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა.**

**შეიქმნა და დაამტკიცეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭო.**

**დაამტკიცეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის I კვარტალის სამუშაო გეგმა.**

## ყაზახეთის სტუმრები ბორჯომში

**საქართველოში** ყაზახეთის საელჩოს ორგანიზებით ყაზახეთის დამოუკიდებლობის აღდგენის 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება ბორჯომის ცენტრალური - ისტორიული პარკის ყოფილ კურძალის ფოიეში გაიმართა.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იქნა დოკუმენტური ფილმი და ფოტოგამოფენა.

ბორჯომის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა** სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა. მან ყაზახ ხალხსა და მთავრობასეროვნული დღესასწაული მიულოცა და წარმატება უსურვა.

საქართველოსა და ყაზახეთს ტრადიციულად მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობები აკავშირებს. მოხარული ვარ, რომ ბოლო პერიოდში შეინიშნება ორმხრივი თანამშრომლობის გააქტიურება მრავალი მიმართულებით, მათ შორის ეკონომიკის, ვაჭრობის, ტურიზმის და სხვა სფეროებში, - განაცხადა ოთარ არბოლიშვილმა.

ყაზახეთის საელჩოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებას ესწრებოდნენ: ყაზახეთის ელჩის მოადგილე და მრჩეველი **ჟაზირა მირზაკასიმოვი,** საელჩოს ეკონომიკური საკითხების მრჩეველი **ჟანდოს სადუაკასოვი,** ბორჯომის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი,** მერის მოადგილე **იოსებ რაზმაძე** და ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლები.

## ჩვენს მკითხველებს!

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „ბორჯომი".**

**2021 წლის 20 ივლისს გაზეთ „ბორჯომს" დაარსების 90 წელი შეუსრულდა. იგი დღესაც წარმატებით ემსახურება ბორჯომის მუნიციპალტეტის მოსახლეობას.**

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავთ, ვერცერთ სოციალურ ქსელში ვერ ნახავთ, ვერც ტელეეკრანიდან მოისმენთ! მხოლოდ ჩვენს გაზეთში გაეცნობით ბორჯომის მუნიციპალიტეტის ახალ ამბებს.**

**ცნობილი ჭეშმარიტებაა, გაზეთი შეუცვლელია, ოდნავ წიგნიერი კაცისათვის გაზეთის კითხვა ბუნებრივი მოთხოვნილებაა.**

**განვლილმა 30 წელმა ბეჭდურ მედიას მომაკვდინებელი ლახვარი ჩასცა, მნიშვნელოვნად შემცირდა პერიოდული გამოცემები, რესპუბლიკაში მხოლოდ რამდენიმე რაიონში გამოდის ადგილობრივი გაზეთი. სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ექვსი რაიონიდან, მხოლოდ ბორჯომში, კვირაში ერთხელ რეგულარულად გამოდის გაზეთი.**

**გაზეთის გადარჩენის ერთადერთ გზას მისი გამოწერა წარმოადგენს, რისთვისაც ჩვენმა გონიერმა ადამიანებმა უნდა გამოძებნონ უმცირესი ფინანსური საშუალება და გამოიწერონ გაზეთი „ბორჯომი", რომელიც მთელი წლის მანძილზე მხოლოდ 20 ლარი ღირს.**

**მხოლოდ თქვენი გაზეთისადმი ერთგულება გადაარჩენს ადგილობრივ პრესას, რომელიც ისევე გვესაჭიროება, როგორც კულტურის სახლი, თეატრი, ბიბლიოთეკა, აფთიაქი, საავადმყოფო, მაღაზია და სხვა ყოველდღიური მომსახურების ობიექტი.**

**მოგიწოდებთ, გამოიწეროთ, იყიდოთ, იკითხოთ გაზეთი „ბორჯომი", რათა იყოთ ბორჯომის მუნიციპალიტეტში პროცესების საქმის კურსში.**

# წლის მონაგარი

**გასული 2021 წელი მეტად ნაყოფიერი გამოდგა ბორჯომის მუნიციპალიტეტისათვის, რომლისთვისაც პრიორიტეტს წარმოადგენდა მოსახლეობის სოციალური პრობლემების გადაწყვეტა და ინფრასტრუქტურული მრავალმხრივი პროექტების განხორციელება. ამ თვალსაზრისით მუნიციპალიტეტში არაერთი ობიექტი აშენდა, რამაც მნიშვნელოვნად გაალამაზა ბორჯომი და მისი დაბა-სოფლები.**

**ახალი წლის დადგომასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, 2021 წლის მანძილზე, სოციალური, განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროში განხორციელებულ პროგრამებს.**

## სოციალური სფერო

**ბორჯომის** მუნიციპალიტეტში 2021 წლის 11 თვეში მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით სერიოზული ღონისძიებები განახორციელა. **სტაციონალური** მომსახურების მიზნით 694952 ლარი დახარჯა, ისარგებლა 926-მა ბენეფიციარმა. **მედიკამენტების** შესაძენად 70735 ლარი გამოიყო და 611 ბენეფიციარმა ისარგებლა. **მრავალშვილიანი** ოჯახებისათვის - 202750 ლარი, საშუალოდ 97 ოჯახზე გადანაწილდა. **შეზღუდული** შესაძლებლობის პირებისათვის - 88 600 ლარი გამოიყო; **ონკოლოგიურად** დაავადებულთათვის 184174 ლარი გამოიყო და 250 ბენეფიციარს მოხმარდა; დედმამით ობოლ სა ბავშვს 8100 ლარი გადაეცა; **23 წყვილი** ახლადდაქორწინებულებისათვის - 3150 ლარი დაიხარჯა. **დედის** დღესთან დაკავშირებით - 14400 ლარი, საჩუქარი გაიცა 96 ბენეფიციარს; **სააღდგომოდ** - 69100 ლარის, მიიღი 687 ბენეფიციარზე; **ომის** ვეტერანებმა - 2100 ლარი მიიღეს; **საქართველოს** დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით 3100 ლარი გაიცა. **3 ღვაწლმოსილი** პირის მიმართ 3300 ლარი გამოიყო. **შეშის შესაძენად** 651 ბენეფიციარის 97650 ლარი გაიცა. „თებესთვის“, შეზღუდული შესაძლებლობის პირთა მიმართ 11606 ლარი გამოიყო. **სარიტუალოდ** - 1300 ლარი დაიხარჯა. **ზრუნვა** მხარდაჭერისთვის - 1697 ლარი. **ას წელს** გადაცილებული ერთი პიროვნებაა და საჩუქრად 100 ლარი მიიღო.



## კულტურა, განათლება

**ცემში** მცხოვრებმა მწერალმა ხათუნა ურჩაძემ გამოსცა მესამე რომანი...



„და წავალ ქარში“, რომელიც გალაკტიონ ტაბიძეს მიუძღვნა. აღნიშნული წიგნის პრეზენტაცია გაიმართა ბორჯომის სამუსიკო სკოლაში. 14 ივნისს კი იმავე წიგნის პრეზენტაცია გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირში. ქალბატონი ხათუნა ურჩაძე არჩეული იქნა საქართველოს მწერალთა კავშირის წევრად.

**ბორჯომის** სამუსიკო სკოლაში გაიმართა ბორჯომელი პოეტის და ექიმის ოლიკო ლომიძის ახალი პოეტური კრებულის პრეზენტაცია. იზა სარქისიანის შემოქმედებითი საღამო. გაიმართა საქართველოს სახალხო არტისტის, ბორჯომის საპატიო მოქალაქის, კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის 85 წლის იუბილისადმი მიძღვნილი საღამო.

**სამცხე-ჯავახეთის** მწიგნობართა ასოციაციის ინიციატივით (ხელმძღვანელი მარიზა ჯიქია) ბორჯომის სამუსიკო სკოლაში გაიმართა უშანგი ჯანგირაშვილის შემოქმედებითი საღამო.

**25-30 ივნისს** ბაკურიანმა მესამედ უმასპინძლა ქართული კინოს ფორუმს. **ბორჯომის** მერია მესამე წელია მისაღებ გამოცდებზე გრანტის მიმღებ აბიტურიენტებს აჯილდოებს. 2021 წელს ეროვნულ გამოცდებზე 100 პროცენტიანი - 6 მა, 50 პროცენტიანი - 27-მა, მერიამ ისინი ფულადი პრემიით დააჯილდოვა. **ბალანთის** საჯარო სკოლამ პროექტებისათვის „ტოლეოახტობა“ ევროპული ხარისხის ნიშანი მიიღო. **ბორჯომის** №1 საჯარო სკოლის ხელოვნების პედაგოგს ნათელა ღლონტს საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიენიჭა. **ბორჯომის** ვაგზლის მიმდებარედ საზეიმოდ გაიხსნა ლიეტუვას რესპუბლიკის საზოგადო მოღვაწის, მწერლის და პუბლიცისტის ანტანას ვილკუტაიტი კეტურაკისის ძეგლი.

**დაძმობილებულმა** ქალაქებმა: ბორჯომმა (საქართველო) და პოლტავამ (უკრაინა) 10 წლისთავი აღნიშნეს; **ბორჯომსა და ისრაელს** შორის შედგა ტელეხიდი ბორჯომის №1 საჯარო სკოლისა და ისრაელში წასულ ემიგრანტს, ქართული ხელოვნების ცენტრის ხელმძღვანელს მარინა გელაშვილს შორის. ბორჯომს წარმოადგენდა მეათე ა კლასის დამრიგებელი და ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი ლია გულიკაშვილი და მისი მოსწავლეები. ტელეხიდი შედგა პროექტ „მშვიდობა ისრაელს“ ეგიდით და მიეძღვნა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში შოთა რუსთაველის ფრესკის აღმოჩენის 60 წლისთავს. **ბორჯომის** მერიამ ახალ რუბრიკას ჩაუყარა საფუძველი: ერთდროულად გამოქვეყნდა არქივში დაცული ბორჯომის ისტორიული ფოტოები და იმავე რაკურსით გადაღებული თანამედროვეობის ამსახველი სურათები. **ბაკურიანის** სასტუმროთა ქსელ „კრისტალის“ მეპატრონემ ვლადიმერ სტეფანიანმა ბაკურიანელ მოსწავლეებს, მოთხილამურეებსა და ტრამპლინიდან მხტომელებს 5 ათასი ლარის სპორტული ტანსაცმელი და ინვენტარი შეუძინა. **ტაძრისის** ბიბლიოთეკაში შეხვედრა მოეწყვეს სახალხო მთქმელს დემურ არონიშიძეს. **საბავშვო** ბაღების მხარდამჭერი ასოციაციის და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მიერ ბორჯომის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს საჩუქრად გადაეცა ორი კომპიუტერი და მულტიფუნქციური პრინტერი. **წაღვერში,** კულტურის სახლის მიმდებარედ, ახლად რეაბილიტირებულ სკვერს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი მეომრის სოსო მღებრიშვილის სახელი მიენიჭა. **ბორჯომის** კულტურის სახლში გაიხსნა სამეჯლისო-სპორტული ცეკვების სტუდია. **აღინიშნა** გაზეთ ,,ბორჯომის“ დაარსების 90 წლის იუბილე. **საზეიმოდ** გაიხსნა საფუძვლიანად რეაბილიტირებული ბორჯომის სამუსიკო სკოლა.

## ინფრასტრუქტურული პროექტები

**ბორჯომის** მაღალმთიანი ზონის სოფლებში, მოლითსა და ჭიხარულაში, 2 კილომეტრიანი გზა მოასფალტდა. **ჩითახევში** 950 მეტრიან მონაკვეთზე დაიგო ასფალტ-ბეტონის საფარი. გაკეთდა სანიაღვრე არხი და საყრდენი კედელი.კეთილმოეწყო საბავშვო ზონა, დამონტაჟდა ახალი ატრაქციონები. **პლატოზე** ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და კომპანია „IDS ბორჯომი-საქართველოს“ ინიციატივით 3000 კავკასიური ფიჭვის ნერგი დარგო. **ეროვნულმა** სატყეო სააგენტომ მოსახლეობისთვის შეშის გასაცემად „საქმიანი ეზოები“ გახსნა პლატოზე, წაღვერში და ანდეზიტში. **ნიკოლაძის** ქუჩაზე დასრულდა სკვერის რეაბილიტაცია. ასევე დასრულდა სკვერის რეაბილიტაცია ალმაშენებლის ქუჩაზე; **სააკაძის** ქუჩის №3 და რუსთაველის ქ. №35-39 შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია დასრულდა. **ვარდგინეთში** და ბეშეთში 1კმ. სიგრძის გზის მოასფალტება და დაბეტონება დასრულდება. **ბორჯომში,** რუსთაველის ქუჩაზე გარე ფასადების რეაბილიტაცია ჩაუტარდა სამ მაღლივ კორპუსს. ჩარხისწყალზე გაიხსნა სამშენებლო მასალების სარეაბილიტაციო ბაზა (დირექტორი შალვა ფხიკიძე). **ახალ უბანში** მოეწყო სკვერი. ბაკურიანში ესთეტიკის ცენტრი გაიხსნა.



**ბაკურიანში** სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრი მწყობრში ჩადგა. **რუსთაველის** ქუჩის გასწვრივ ტროტუარზე მოეწყო მოაჯირები. **საერთაშორისო** კონკურსში გაიმარჯვა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკმა. სასტუმრო „ბორჯომ-ლიკანმა“ გაიმარჯვა რესპუბლიკურ კონკურსში „საუკეთესო 4 სეზონის სასტუმრო მთაში“.

**ინფრასტრუქტურულ პროექტებზე სულ დახარჯულია 17 მილიონამდე ლარი.**

## სოფლის განვითარების პროექტები

**ბორჯომის** მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“, 34 სოფელში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება დასრულდა.

**2021 წელს,** ბორჯომის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ცენტრალური ბიუჯეტიდან 436 000 ლარი გამოიყო. აღნიშნულ თანხას ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა 436 000 ლარის ოდენობით დაემატა. ჯამში სოფლებში შერჩეული პროექტების განხორციელებაზე 872 000 ლარი დაიხარჯა.

**ადგილობრივების** გადაწყვეტილებით ქვაბისხევში ხიდს რეაბილიტაცია ჩაუტარდა, ხოლო მზეთამზეში გარე განათება მოეწყო.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მიზანია, სოფლებში სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების დაფინანსება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფა. **ადგილობრივების** გადაწყვეტილებით ბაკურიანში, ტიმოთესუბანში, ჩითახევში, ტბაზე, ვარდგინეთში სკვერი მოეწყო. **ახალდაბაში,** დიდ მიტარბში, საკირეში და ზანავში სპორტული მოედანი გაკეთდა, ხოლო რველში, ბეშეთში, სადგერში და ლარებში გარე მოხმარების სპორტული მოწყობილობა დამონტაჟდა. **საგზაო** ინფრასტრუქტურა მოწესრიგდა თორში, დიდ და პატარა მიტარბში, დაბაში და ყვიბისში. **სასმელი** წყლის რეაბილიტაცია განხორციელდა ჭიხარულაში, დვირში, ტაბაწყურში, ცემში, კორტანეთში და ციხისჯვარში. **სარწყავი** და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია განხორციელდა წაღვერში, მოლითში, ტაძრიში და დგვარში.

# სამოქალაქო ბიუჯეტი - მოქალაქეების გააქტიურების მექანიზმი

**„დაგეგმე შენი ბიუჯეტი“ ასე ჰქვია პროექტს, რომლის განხორციელებაში ბორჯომის მუნიციპალიტეტი 2021 წელს ჩაერთო, პროექტი მოქალაქეების ჩართულობას გულისხმობს ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში. ბორჯომის მუნიციპალიტეტმა 2022 წლის ბიუჯეტში პროგრამისათვის 320 000 ლარი გაითვალისწინა. რას გულისხმობს სამოქალაქო ბიუჯეტი და როგორ ერთვებიან მოქალაქეები მის დაგეგმვაში? კითხვებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების ხელმძღვანელმა - ნინო გიუაშვილმა უპასუხა.**



**● როდის და რა მიზნით ჩაერთო ბორჯომის მუნიციპალიტეტი სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტში?**

- სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამა გულისხმობს მოქალაქეთა ჩართულობას საჯარო ფინანსების მართვის საქმეში. პროექტის მიზანია, გაიზარდოს მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობის ეფექტურობა განსახორციელებელი პროექტების პრიორიტეტების შერჩევაში მოსახლეობის ჩართულობის კუთხით.

ბორჯომი მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტში ჩაერთო მიმდინარე წელს. პროექტი მოქალაქეებს აძლევს საშუალებას, გააქტიურდნენ, ჩაერთონ ბიუჯეტის მომზადების პროცესში და ასევე აქვთ საშუალება მათთვის მისაღები საპროექტო იდეის განხორციელების.

**●როგორ დაიწყო პროექტის განხორციელება ბორჯომის მუნიციპალიტეტში?**

- ბორჯომის მუნიციპალიტეტში სამოქალაქ ბიუჯეტირების პროგრამა USAID GGI-ის მხარდაჭერით ხორციელდება. როდესაც აღნიშნული პროგრამის შესახებ მივიღეთ ინფორაცია, დავეთანხმეთ შემოთავაზებას და აქტიურად ჩავერთეთ პროგრამის განხორციელებაში. მერის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და წინასწარ განისაზღვრა 4 პროექტის დაფინანსება, თითოეული 80 000 ლარის ღირებულებით. აქედან 1 პროექტი დაფინანსდებოდა ქალაქის მასშტაბით, ხოლო 3 პროექტის განხორციელება დაიგეგმა მუნიციპალიტეტის სოფლებსა და დაბებში. პროექტი სრულად ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

**● რა ეტაპები გაიარა? რამდენი საპროექტო იდეა იყო წარმოდგენილი?**

- სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამა მოიცავს შემდეგ ეტაპებს: პირველ ეტაპზე ხდება მოქალაქეების მიერ საპროექტო წინადადების წარმოდგენა, შემდგომ მუნიციპალიტეტში შექმნილი სამუშაო ჯგუფი უზრუნველყოფს წარმოდგენილი საპროექტო იდეების გადარჩევას, წინასწარ დამტკიცებული კრიტერიუმების შესაბამისად, გადარჩეული საპროექტო წინადადებები იღებს მონაწილეობას ონლაინ კენჭისყრის პროცესში, ხოლო ხმათა უმრავლესობით გამარჯვებული საპროექტო წინადადება გათვალისწინებული იქნება მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში.

მიმდინარე წელს სულ შემოვიდა 57 საპროექტო წინადადება, საიდანაც 12 საპროექტო წინადადება გადავიდა ონლაინ კენჭისყრის ეტაპზე.

**● ძირითადად რა სახის პროექტები შემოვიდა მოსახლეობისგან? როგორ მოხდა გამარჯვებულების გამოვლენა?**

- შემოსული საპროექტო წინადადებების უმრავლესობა მოიცავდა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მოთხოვნას.

საპროექტო წინადადების გადარჩევას პირველ ეტაპზე ახორციელებს მუნიციპალიტეტში შექმნილი სამუშაო ჯგუფი, წინასწარ დამტკიცემული შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად:

- საპროექტო წინადადების განხორციელება უნდა იგეგმებოდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;
- საპროექტო წინადადების განხორციელება უნდა შედიოდეს მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებში;
- საპროექტო წინადადების განსახორციელებლად საჭირო სავარაუდო თანხა არ უნდა აღემატებოდეს წინასწარ დამტკიცებულ ლიმიტს (ბიუჯეტს);
- წინადადებით შემოთავაზებული პროექტი არ უნდა იყოს მიმდინარე, ან ჩასმული დასაგეგმი წლის ბიუჯეტის პროექტში;
- ტექნიკურად უნდა იყოს შესაძლებელი საპროექტო წინადადების განხორციელება.

**● მოქალაქეების ჩართულობას როგორ შეაფასებთ?**

- საკმაოდ აქტიურად იყო მოსახლეობა ჩართული აღნიშნულ პროგრამაში. თითოეული მოქალაქის იდეა მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია.

აქვე გაგაცნობთ გამარჯვებულ 4 პროექტს, რომელთა განხორციელება 2022 წელს იგეგმება:

ქალაქში რამდენიმე ადგილზე საათები დამონტაჟდება.

მოეწყობა უსაფრთხო ბილიკი გოგირდის აბანოებისკენ.

სოფელ ცემში, ერთიან სივრცეში არსებული ძველი სასაფლაოს, ბიბლიოთეკის და მათი მიმდებარე ტერიტორიის შემოღობვა და კეთილმოწყობა იგეგმება, დაირგვება მარადმწვანე და მოყვავილე მცენარეები.

სოფელ ქვაბისხევში საზაფხულო დასასვენებელი და საპიკნიკო კომპლექსი მოეწყობა.

**● რა ბედი ელის იმ პროექტებს, რომლებმაც ხმათა უმრავლესობა ვერ მოიპოვეს?**

- საპროექტო წინადადებეი, რომლებიც ვერ მოხვდნენ გამარჯვებულ პროექტებში, ინახება მუნიციპალიტეტში და ეტაპობრივად პრიორიტეტების შესაბამისად მერია განიხილავს მათი დაფინანსების საკითხს ბიუჯეტში შესაბამისი თანხების მოძიების შემთხვევაში.

**● რა მნიშვნელობა აქვს მოქალაქეების ჩართულობას მსგავს პროექტებში და სამოქალაქო საზოგადოების, თვითმმართველობის და არასამთავრობო სექტორის თანამშრომლობას?**

- მსგავსი პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მოსახლეობისა და თვითმმართველობის დაახლოებას სხვადასხვა საკითხების მოგვარებაში. ასევე მუნიციპალიტეტი უფრო მეტად ინფორმირებულია მოსახლეობის მოთხოვნებზე და არსებულ პრობლემებზე.

**● აპირებთ თუ არა მომავალ 2022 წელს კვლავ ჩაერთოთ სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამაში?**

2022 წელს განხორციელდება მიმდინარე წელს სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტის ფარგლებში შერჩეული საპროექტო წინადადებების სამუშაოები.

## სიკეთე დაგბედებოდეთ!



ახალმა წელმა კარზე მოგვიკაკუნა. რით შევეგებებით მას, კერძოდ ბორჯომში. ჩემი ზრით, არცთუ სახარბიელო იყო 2021 წელი. ვერ მოვიშორეთ კოვიდ-პანდემია, რომელიც ძირითადად მოხუცებს გვემუქრება. ამიტომ ხშირად გარეთ გამოსვლას და საზოგადოებაში თავშეყრის ადგილებში ყოფნას ვერიდებოდით. მეტი სიფრთხილეა საჭირო. უფრო მეტი ადამიანი უნდა აიცრას.

ამ წელს ჩატარებულმა არჩევნებმა ორად გახლიჩა ხალხი და ეს პოლარიზაცია არ მცირდება. ეს პოლიტიკური პროცესი კი უფრო გაამწვავა მიხეილ სააკაშვილის საქართველოში „გამოჩენამ“. ჩემი აზრით, საქართველოს მესამე პრეზიდენტმა სასჯელი უნდა მოიხადოს.

საბედნიეროდ, ჩვენს რაიონში არჩევნები მშვიდობიანად ჩატარდა და რაიონის ხელმძღვანელობამაც მუშაობა დაიწყო. საზოგადოებრივი აზრის დარბაზის გამგეობამ წლის ბოლოს სხდომა ჩავატარეთ და დავთქვით, რომ რაიონის ხელმძღვანელობას შევხვდეთ იანვრის მეორე ნახევარში.

ყოველი ახალი წელი დიდ მოვლენაა თითოეული ადამიანის ცხოვრებაში. ჩვენი მუნიციპალიტეტის ყველა მცხოვრებს ვუსურვებ, წარმატებული ყოფილიყოს მათთვის მომავალი ახალი წელი. პირველ რიგში ჯანმრთელობას და ოჯახში ხვავსა და ბარაქას! სიკეთე დაგბედებოდეთ!

**ზაურ ლაზარიშვილი,**
**ბორჯომის რაიონის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის გამგეობის თავმჯდომარე.**

„ბორჯომის“ საახალწლო ინტერვიუ

# ერთმანეთის თანადგომით პრობლემებს დავძლევთ



**ბაკურიანში ახლახან ჩამოყალიბებულ სსიპ-ს, რაც ქალბატონი ეკა ორჯონიკიძე ჩაუდგა სათავეში. მანამდე მას სამხარეო ადმინისტრაციაში თვითმმართველობებთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობა ეკავა, რეგიონში კურირებდა კულტურის, სპორტის, განათლების სფეროებს. კარგად იცნობს ბორჯომ-ბაკურიანის პრობლემებს, არის საქართველოს სათხილამურო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, დიდხანს მუშაობდა ტრამპლინების რეაბილიტაციის პროექტზე. ბაკურიანის აწმყოსა და მომავალზე, ახალი სამსახურის პრობლემებსა და სასიკეთო ცვლილებებზე ქალბატონი ეკა გვესაუბრება.**

**● ქალბატონო ეკა, ბაკურიანი თქვენთვის ნაცნობი გარემოა, კარგად იცნობთ ბაკურიანის პრობლემებს, რა იგეგმება მომავლისთვის? რა არის თქვენი აზრით პირველ რიგში მოსაგვარებელი?**

– ამჟამინდელი ჩემი თანამდებობა საკმაოდ დიდი გამოწვევა გახლავთ, მაგრამ ეს არის ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი, რადგან ჩემს თავს ბაკურიანის ერთ-ერთ მთავარ გულშემატკივრად ვთვლი და დარწმუნებული ვარ, მაქვს ის რესურსი, რომ ბაკურიანის განვითარებისათვის, მისი კეთილდღეობისა და მომავლისათვის კარგ შედეგს მივაღწიო. ჯერჯერობით მოვალეობის შემსრულებელი ვარ, ბაკურიანის განვითარების სააგენტო იზრუნებს ბაკურიანში არსებულ ყველა პრობლემების გადაწყვეტაზე. მოგეხსენებათ, რომ ეს სამსახური არის ახალი, თანამშრომლების დაკომპლექტება ჯერ არც დაგვიწყია. ავიყვანეთ მძღოლები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობები, ისინი ასევე უზრუნველყოფენ გზებზე გაწმენდით სამუშაოებს. სსიპ-ი გამოაცხადებს კონკურსს და იანვრიდან ვიწყებთ ადმინისტრაციული სამსახურის დაკომპლექტებას და შემდეგ მარტიდან ფუნქციონირებას დაიწყებს ყველა სამსახური. რაც შეეხება ტექნიკას, ისეთი გვაქვს, აღმოსავლეთ ევროპის ზამთრის კურორტებს შეშურდებათ, – თოვლის გამწმენდი მანქანები, ათი ერთეული საზოგადოებრივი ტრანსპორტი – ავტობუსი, თოვლის გადასატანი სატვირთო მანქანები... გვინდა, რომ განიტვირთოს ბაკურიანის გზები, რომ უფრო მარტივად და კომფორტულად მივიდეს ადგილობრივიც და დამსვენებელიც საბაგირო გზებამდე. ამის განსახორციელებლად საჭიროა საპარკინგე სივრცეები, ამ კუთხით ჯერჯერობით პრობლემები გვაქვს, რადგან ბაკურიანში არსებული საპარკინგე ადგილები არასრულყოფილია. ამ და კიდევ უამრავ საკითხზე სერიოზული მუშაობა მოგვიწევს.



ვფიქრობ, რომ ამ სეზონს ჩემს გუნდთან ერთად წარმატებით დავძლევთ. ვთვლი, რომ ბაკურიანისთვის ყველაზე დიდი პრობლემაა წყლისა და კანალიზაციის მოძველებული სისტემები. ის მთლიანად გამოსაცვლელია. ასევე ასაშენებელია ახალი სათაო ნაგებობა ფილტრებით. პრობლემურია ყინვების დროს მოსახლეობის წყალმომარაგება. პირველ რიგში ბაკურიანში ეს საქმეა მოსაგვარებელი. ჩემთვის მნიშვნელოვანია გაცვლა კონსულტაციები როგორც ადგილობრივ, ასევე ცენტრალურ ხელისუფლებასთან, ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან, თუ რა პროექტებია დაგეგმილი ბაკურიანში, რომელი პროექტი იგეგმება პირველ რიგში და ა.შ. ამიტომაც შეიქმნა სსიპ, რომ სხვადასხვა დონორებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან მოხდეს თანხების მოზიდვა და პრიორიტეტული პროექტების დაგეგმვა და განხორციელება, რომლებიც სასიცოცხლო მნიშვნელობის იქნება ბაკურიანისათვის.

საქმე უამრავია, გამოწვევა დიდი, მაგრამ იმედიანად ვარ, რადგან თითქმის ყველა ბაკურიანელს ვიცნობ და ძირითადად გვერდში მიდგანან. მინდა, რომ ყველა ასაკის ადამიანს პირადად შევხვდე, გავესაუბრო. მათი აზრი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ვმუშაობთ ვებ-გვერდისა და ფეისბუქ გვერდის შექმნაზე, სადაც გვექნება სპეციალური მესიჯ-ბოქსი, აქ ყველას შეუძლია თავისი მოსაზრებები გაგვიზიაროს, ჩემთვის ძალიან მწვავე კრიტიკაც მისაღები და გასათვალისწინებელი იქნება, იმიტომ, რომ ისინი არა მარტო გვაკრიტიკებენ, არამედ თავიანთ აზრსაც და იდეებსაც გთავაზობენ. მათ უნდათ უკეთესი ბაკურიანი, ამიტომ ჩემი კარი ყველასთვის ღია იქნება. ყველას მოენატრა ძველებური, თეთრი და ლამაზი ბაკურიანი. გვიწევს გზებზე მარილის დაყრა და საცობებიც ნაწილობრივ ამიტომ იქმნება. მარილისაგან ატალახებული ქუჩები არავის მოგვწონს, ამიტომ ბაკურიანში ტრანსპორტის ზამთრის საბურავებით მოძრაობა სავალდებულო უნდა იყოს. ევროპის ზამთრის კურორტებზე არსად არ იყრება მარილი, ყველა ზამთრის საბურავებით დადის და ლამაზად გაქათქათებულია ყველაფერი.

**● დღეს ყველას სწორება აქვს 2023 და 2025 წლებზე, როდესაც ბაკურიანში მაღალი რანგის საერთაშორისო სპორტული ტურნირები გაიმართება. როგორ უმასპინძლებს ბაკურიანი ამ შეჯიბრებებს?**

– ამ ტურნირების საქმიანობაში ჩაბმულია საქართველოს სათხილამურო ფედერაცია, მთის განვითარების სააგენტო, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლებები, ოლიმპიური კომიტეტი. გვაქვს მჭიდრო კომუნიკაცია მამუკა ხაზარელთან. არაჩვეულებრივი პროექტები ხორციელდება ამ ღონისძიებებისათვის, ეს არის ყინულის მოედანი, ტრამპლინები, ახალი სათხილამურო ტრასები და საბაგიროები. ტურნირების დასრულების შემდეგ ყველა ეს სპორტული ნაგებობები ბაკურიანს დარჩება და ისარგებლებს როგორც დაბის სტუმარი, ასევე ადგილობრივი მოსახლეობა. ამიტომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც მსგავსი ღონისძიებები ტარდება, ის ქვეყანა ყოველთვის მოგებული რჩება. ეს რაც შეეხება სპორტულ ობიექტებს, თუმცა ჯერ არ გავცნობილვარ, რა იგეგმება ინფრასტრუქტურის კუთხით.

სხვათა შორის პრობლემაა ასევე საფეხმავლო გზები დიდთოვლობის დროს, ტროტუარების სპეციალური საწმენდი ჯერ არ გვაქვს და ხალხი ქუჩაში დადის. ასევე მოსაწესრიგებელია ქუჩების განათება, საპარკინგე სივრცეები, არ არსებობს ნაგავსაყრელი. ასევე მოსაგვარებელია საზოგადოებრივი ტუალეტების პრობლემა. ყველა ეს პრობლემა ერთმანეთზეა ჯაჭვივით გადაბმული, ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა მივყვეთ და მოვაგვაროთ ყველა. როდესაც ვსაუბრობთ ევროსტანდარტების კურორტზე და ველოდებით ბევრ ტურისტს, ასეთი პრობლემები არ უნდა გვქონდეს.

სსიპ-ი მონიტორინგს გაუწევს ყველა პროექტს, რაც ბაკურიანში განხორციელდება. რადგან ხშირად საქმე უხარისხოდ კეთდება. რაც შეეხება ცენტრალური პარკის რეაბილიტაციას, ვიცი, რომ ამ პროექტს ახორციელებს მუნიციპალური განვითარების ფონდი, არსებობს ერთობლივი ინფრასტრუქტურული პროექტები, ან პროექტები, რომლებსაც მხოლოდ ჩვენი მუნიციპალიტეტი ახორციელებს. ამ პროექტების სრული ნუსხა რომ მექნება, მაშინ მეცოდინება, რას უნდა ველოდო 2022 წელს.

**● სკოლა ახსენეთ და როგორი ურთიერთობა გექნებათ სკოლასთან, პედაგოგებთან?**

– არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს სკოლასთან. ვიცით ალბათ ყველამ, რომ იგეგმება ახალი სკოლის მშენებლობა, რადგან არსებული უკვე ძალიან ძველია და მის ნაწილ-ნაწილ რეაბილიტაციას აზრი არ აქვს. ახლა მიმდინარეობს სკოლის შენობის პროექტირება. მინდა, რომ ბაკურიანში საუკეთესო ევროპული სტანდარტების სკოლა იყოს, თავის სპორტული მოედნებით და დარბაზებით. ყოველდღიური კომუნიკაცია მაქვს სკოლის ადმინისტრაციასთან, გვაქვს მსჯელობა ბავშვების განთავსებაზე სკოლის დემონტაჟის პროცესის დროს. განიხილება სხვადასხვა იდეები. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყდეს სკოლისა და საბავშვო ბაღის პრობლემა. დარწმუნებული ვარ, მომავალ წელს ორივეს მოვაგვარებთ.

**● კიდევ ერთი მტკივნეული თემა ბაკურიანელთათვის – სპორტული სკოლის არარსებობა, რას იტყვით ამის შესახებ?**

– სპორტული სკოლის არარსებობის გამო ჩვენი სპორტსმენები ისეთ მაღალ შედეგებს ვერ აღწევენ სხვადასხვა რანგის ასპარეზობებზე, როგორც ეს ჩვენს ბავშვობის დროს ხდებოდა. მაშინ ერთი კი არა, რამდენიმე სპორტსკოლა არსებობდა. იყო მაღალი კონკურენცია სპორტსმენებს შორის. აუცილებელია სპორტსკოლის არსებობა სპორტულ დაბაში, რომელსაც უნდა ჰქონდეს თავისი მიმართულებები და შედეგიც იქნება. ბაკურიანელ სპორტსმენებს არ აქვთ თავიანთი სავარჯიშო დარბაზი და სტანდარტული ზომის სტადიონი. ადრე საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრებები გადიოდნენ წვრთნას ბაკურიანში, ახლა ადგილობრივი სპორტსმენებიც ვერ ვარჯიშობენ ხეირიანად. მხოლოდ სასტუმროებს აქვთ თავისი სპორტული დარბაზები. ამ საკითხს სერიოზულად უნდა მიხედვა.

**● ახალი წელი კარს მოგვადგა. საქართველოს ზამთრის მთავარ კურორტს საახალწლო მორთვა დაუგვიანდა...**

– კი, ნამდვილად, ძალიან დავაგვიანეთ რიგი მიზეზების გამო. საერთოდ ვთვლი, რომ საზეიმო მორთულობები და ნაძვის ხე დეკემბრის დასაწყისში უნდა დაიდგას, რომ ხალხს ადრევე შევუქმნათ საზეიმო განწყობა. ამას აუცილებლად გამოვასწორებთ. ნაძვის ხე ბორჯომის მუნიციპალიტეტმა გვაჩუქა, საახალწლო განათებები კი თბილისის მერიამ – მადლობა მათ ამ საჩუქრისთვის! თხოვნით მივმართეთ ბატონ კახი კალაძეს საახალწლო განათებების თაობაზე, ასე რომ მართალია, გვიან, მაგრამ მაინც გავაბრდღვიალეთ ჩვენი კურორტი საახალწლოდ.

ვულოცავ ბაკურიანის, მთელი რაიონის, მთელი რეგიონის და სრულიად საქართველოს მოსახლეობას დამდეგ 2022 წელს! ვუსურვებ ჯანმრთელობას, მშვიდობიან წელს! კორონავირუსმა დაგვავიწყა ყველაფერი, და ამიტომ ჯანმრთელობაზე ვაკეთებთ აქცენტს. ჯანმრთელობასთან ერთად გვინდა გალაღებული, გაბრწყინებული, გალამაზებული, მოწყობილი ბაკურიანი, რომ მომავალ წელს უკეთესი იქნება ბაკურიანი. მე მაქვს თითოეული ბაკურიანელის, ჩემი კოლეგების, ჩემი მეგობრების, სათხილამურო ფედერაციის, მთის განვითარების კომპანიის იმედი, რომლებსაც ჩემი სჯერათ. როდესაც ადამიანებს ერთმანეთის იმედი გვაქვს, და როდესაც არსებობს ეს სიტყვა – იმედი – შედეგიც არ დააყოვნებს, ერთი ადამიანი ვერაფერს გახდება.

**ვულოცავ აგრეთვე გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციის კოლექტივს ახალ წელს, მჯერა, რომ სისტემატურად ვითანამშრომლებთ, ვიქნები თქვენი მუდმივი რესპოდენტი და კარგ ამბებსაც გავაჟღერებთ!**

ესაუბრა **რუსუდან სხირტლაძე**

---

## იხარეთ და იმრავლეთ!



**წალვერში** ვცხოვრობ და ტელევიზიით თვალს ვადევნებ ყველაფერს. არ მომწონს პოლარიზაცია, სიძულვილი და ქიშპობა, რაც ჩვენმა პარტიებმა დანერგეს. ახლა პრეზიდენტი შერიგებაზე ალაპარაკდა. იქნებ რაღაც გზები მოინახოს ამისათვის. არ მომწონს პოზიციის ბოიკოტი პარლამენტისადმი. უნდა დაესწრონ და მონაწილეობა პოლიტიკაში და კანონების მიღებაში.

ზამთარში მარტო ვარ და ისტორიული თემების წიგნებს ჩავუჯდები ხოლმე. ტრადიციისამებრ ვმუშაობ ისტორიული თემატიკის წერილებზე. ვეცდები კვლავაც მოგაწოდოთ წერილები როგორც გაზეთ ,,ბორჯომს“ ასევე ,,ლიტერატურულ მესხეთს“.

გამეხარდა ის, რომ აზარტულ თამაშებს დიდი შეზღუდვები დაუწესდება. მოვუწოდებ ახალგაზრდობას, რომ ისწავლონ და ითამაშონ ჭადრაკი, რომელიც აზარტულიცაა, სასარგებლოც და გონივრულიც.

საახალწლოდ რას ვუსურვებ ჩემს ხალხს? – იხარეთ და იმრავლეთ! ახალგაზრდა ოჯახებო, მრავალშვილიანობა დაგბედებოდეთ! ერის გადარჩენისათვის ესაა მთავარი!

**თამაზ ჩიქვაიძე,**
**რაიონის ჩემპიონი ჭადრაკში.**

---

## მიეცი ნიჭსა გზა ფართო...

**ბაკურიანელმა ეთერ ქიმერიძემ საკუთარი ნახატების პირველი გამოფენა-გაყიდვა მოაწყო. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მსგავსი ღონისძიება ბაკურიანში პირველად ჩატარდა. 31 წლის ეთერმა მშობლიურ დაბაში საკუთარი ნახატები პირველმა გამოფინა. მან ბაკურიანის კულტურულ ცხოვრებაში ნავსი გატეხა, რადგან საკურორტო დაბაში ბევრი ხელოვანი ადამიანი ცხოვრობს, მაგრამ ფართო საზოგადოებამ მათი ნიჭის შესახებ თითქმის არაფერი იცის.**

ეთერ ქიმერიძე თვითნასწავლი მხატვარია, ხატვა მისთვის გატაცება და განტვირთვის საგანია. სკოლისა და შემდეგ გოეთეს ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მისი ხატვის ნიჭს განსაკუთრებულად თავი არ გამოუვლენია. ყველაფერს თავის დრო აქვს და ორი-სამი წლის წინ, როდესაც საკუთარ შვილს უყურებდა, რომელიც ხატვის გაკვეთილის დავალებას ასრულებდა, მაშინ ინებეს ხატვის მუზამ და ნიჭმაც გაღვიძება და იმ საღამოსვე პირველად შეიქმნა სრულყოფილი ნახატი. ხატვის გარდა ეთერ ქარგავს, ქსოვს, კერავს და ფანდურზეც უკრავს.



თავის პირველ გამოფენას ეთერმა არტ-იმედი დაარქვა და მის ფარგლებში ახალგაზრდა ხელოვანი თანამოაზრეების თანადგომით არაერთ საინტერესო კულტურულ სანახაობას გვპირდება. არტ-იმედი – ეს არის გზავნილი ყველა იმ ადამიანისადმი, განსაკუთრებით ბავშვებისადმი, რომლებიც მისავით ხატავენ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო მათი ნიჭი ჩრდილშია მოქცეული. მას ამ ნაბიჯით სურს წაახალისოს ყველა ადამიანი, რათა ისინი წარსდგნენ საკუთარი დაბის წინაშე თავისი ნამუშევრებით და არასოდეს თქვან უარი ოცნებებსა და გატაცებებზე.

– კორონავირუსის პანდემიამ ყველა ჩვენთაგანს შეუცვალა ცხოვრების ჩვეული სტილი. ამ სტრესულმა ყოველდღიურობამ გამიჩინა სურვილი შემომეტანა სიხალისე. „არტ-იმედით“ ჩემი ჩანაფიქრი სინამდვილედ ვაქციე. ვიცი, რომ ჩემს ირგვლივ უამრავი ნიჭიერი ადამიანია. მინდა ყველას მივცე სტიმული იყვნენ უფრო გაბედულები. არტ-იმედი მიზნად ისახავს ბაკურიანში სამომავლოდ ხელოვნების განვითარების ხელშეწყობას.

ჩემი უდიდესი სურვილი და ოცნებაა, ბაკურიანში გაიხსნას კულტურის ცენტრი, რომელშიც ყველა ნიჭიერ და მონდომებულ ადამიანს შეეძლება თვითრეალიზაცია, იქნება ეს ადგილობრივი თუ დაბის სტუმარი.

ჩემი ამ გამოფენის მოწყობისას ძალიან მოკრძალებული ვიყავი, ნამდვილად არ მოველოდი ასეთ ინტერესს ხალხისაგან. მინდა განსაკუთრებული მადლობა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, ვინც მოვიდა ჩემს გამოფენაზე, გაიზიარა ჩემი სიხარული, ვინც გვერდში დამიდგა , რომ გამოფენა სრულყოფილად ჩატარებულიყო. აქვე დავაანონსებ კულტურულ ღონისძიებებს, რომლების ჩატარებასაც მიზნად ისახავს არტ-იმედი – ეს იქნება საახალწლო ზეიმი, კონცერტები, გამოფენები და სხვა, – გვითხრა ეთერ ქიმერიძემ.

ეთერს მხატვრობაში ჯერ საკუთარი გამოკვეთილი სტილი არ აქვს. ხატავს აკვარელით, გუაშით. გამოფენაზე მას სხვადასხვა ჟანრისა და თემატიკის ნამუშევრები ჰქონდა გამოფენილი. ყველა მისი ნახატი შეიქმნა ღამით, განსაკუთრებულად უყვარს ნახატი „კაცი ჩიტით“, რომელიც მისი ერთ-ერთი პირველი ნამუშევარია. აქვს შეკვეთებიც.

სამომავლო გეგმები ეთერს ბევრი აქვს. წარმატებით ჩავლილმა პირველმა გამოფენამ უფრო მეტი ენთუზიაზმით და მომავლის იმედებით აავსო ხელოვანი. მის გეგმებში შედის ძველი ნივთების გამოფენა-გაყიდვა, ხელნაკეთი თოჯინების თეატრი, კონკურსი „გამრჯე ხელები“ და სხვა. ეთერი იმედოვნებს, რომ თანამოაზრეების და კეთილისმსურველების თანადგომით ყველა მისი ჩანაფიქრი რეალობად იქცევა.

**რუსუდან სხირტლაძე**

## ხელოვანის სამყარო

# წინასწარ არასდროის იცის, რას დაამზადებს

**ქალბატონ ინა ღარიშვილს ხელოვნება ადრეული ბავშვობიდან იტაცებდა. ხატავდა, ქსოვდა, კერავდა თოჯინებისთვის. ხშირად საკუთარი დის მაგივრად ხატავდა. ახლა იუმორით იხსენებს, რომ მისი ნახატები სკოლის გამოფენებზე ყოველთვის დის სახელით გამოიფინებოდა ხოლმე, თავისი სახელით კი არასდროს.**

მიყვება, რომ 2021 წლის აღდგომას, სააღდგომო კვერცხისა და ბზის ჩასაწყობი კალათების დამზადება გადაწყვიტა, რომელიც ახლობლებმა შეიძინეს და სწორედ მათთან ნანახის შემდეგ გაუჩნდათ სხვებს მისი დამზადებული ნივთების შეძენის სურვილი. ნივთებს საკუთარი სურვილის მიხედვით უკვეთდნენ და ისიც სიამოვნებით ქმნიდა.



ამბობს, რომ წინასწარ არასდროს იცის, რას დაამზადებს, სანამ რაიმე დეტალს არ დაინახავს, რომლისგანაც შემდეგ საინტერესო ნივთს შექმნის. ეს მასალა შეიძლება იყოს ხის ტოტი, გირჩი, ბოთლი, მუყაო, თაბაშირი ან სხვა რამ. ნივთების დასამზადებლად თითქმის ყველანაირი სახის მასალას იყენებს. ქალბატონ ინას საჭირო მასალების შეგროვებაში ხშირად შვილი მარიამი და შვილიშვილი ანასტასიაც ეხმარებიან. ბევრჯერ რამდენიმე საათიც კი დასჭირვებიათ საჭირო რაოდენობის გირჩების შესაგროვებლად, რომლისაგან შემდგომ ქალბატონმა ინამ საინტერესო ნივთები უნდა დაამზადოს.

ამზადებს სხვადასხვა ზომისა და ფორმის სკივრებს, ე.წ ბარაქის ხის კომპოზიციებს. ამ საახალწლოდ ფერადი ნაჭრებისა და სხვადასხვა ძაფებისაგან ახალი წლის განუყოფელ ატრიბუტთან, ნაძვის ხესთან ერთად დამატებით სხვადასხვა სუვენირებიც დაამზადა, მაგალითად, როგორიცაა, გირჩისაგან დამზადებული ჯუჯები. მის ყველა ნივთში უდიდესი სითბო და სადღესასწაულო განწყობა იგრძნობა. ქალბატონი ინა ნივთებს ძირითადად საჩუქრად ამზადებდა, თუმცა ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც სოციალურ ქსელში გვერდი შექმნა, სადაც საკუთარი ნამუშევრების ფოტოებს დებს, შეკვეთებიც აქვს. ამ საახალწლოდ გირჩებისაგან 150 სმ. სიმაღლის ნაძვის ხე დაამზადა, რომელზეც დაახლოებით 2 კვირის მანძილზე იმუშავა.

ნამუშევრებს ძირითადად ისეთ დროს ქმნის, როდესაც სამსახურიდან ბრუნდება, ან რაღაც მომენტში თავისუფალი დრო აქვს. დატვირთული გრაფიკის მიუხედავად, მისთვის ეს ერთგვარი განტვირთვაა და მოხარულია იმით, რომ საყვარელი საქმე ამ ბოლო პერიოდში მისთვის დამატებითი შემოსავლის წყაროც გახდა.

თუკი ვინმეს მოუნდება ჩემი ნივთების ყიდვა, ახალ წელს ნამდვილად გაულამაზებს. ჩემთვის არ არის მთავარი რომ ნივთი ძვირად გაიყიდოს. გულწრფელად ვამბობ, რომ მნიშვნელოვანია, ჩემმა ნამუშევარმა ადამიანებს კარგი განწყობა და სიხარული მოუტანოს, ამბობს ქალბატონი ინა.

დამერწმუნეთ, მისი ნამუშევრები თქვენს საახალწლო განწყობას ნამდვილად სადღესასწაულოსა და ამაღლებულს გახდის. მათ ვისაც ქალბატონი ინას ნამუშევრების ხილვა სურს, სოციალურ ქსელში გვერდს „ინას ხელნაკეთი სუვენირები" შეუძლია ესტუმროს, სადაც ყველა ნივთის ნახვასა და ამავდროულად სასურველი ნივთის შეკვეთასაც შეძლებთ.

**ნატო მელიქიძე.**

# გილოცავთ, ახალი წლის შემოსვლას!



**გაზეთ „ბორჯომის"** შემოქმედებითმა კოლექტივმა დიდი გზა გალია. 2021 წელს გაზეთს არსებობის 90 წელი შეუსრულდა. უბრალო მკითხველს ნამდვილად მეამაყება, რომ მე დიდი ხანია ვთანამშრომლობ გაზეთთან, მისი აქტიური მკითხველი და კორესპონდენტი ვარ. ჩვენ სახელოვან გაზეთში 1967 წელს დაიბეჭდა ჩემი პირველი სტატია. რამდენიმე ათეული დიდი და პატარა სტატია მაქვს გამოქვეყნებული, თითქმის ყველა მათგანი შენახული მაქვს. 60-იან წლებში გაზეთის რედაქტორი იყო ბატონი დავით ჭიჭილეიშვილი, პასუხიმგებელი მდივანი ქალბატონი - ლია ლომიძე. მახსოვს ყველა თანამშრომელი, ლიტმუშაკები და სტამბის თანამშრომლები. ვმეგობრობდი ფოტოკორესპონდენტ ნუგზარ ქარელთან, აკაკი მოსიძესთან და სხვებთან. იმ პერიოდში გაზეთს არ ჰქონდა ისეთი პრობლემები, როგორიც ამ 30 წლის მანძილზე გამოიარა. რედაქციის კოლექტივმა ბევრ გასაჭირს გაუძლო და გამარჯვებული გამოვიდა. იგი გადარჩა. რეგიონში ერთადერთი გაზეთია, რომელიც სტაბილურად გამოდის და 1500 ადამიანს კვირაში ერთხელ აწვდის ბორჯომის ახალ ამბებს.

ვულოცავ რედაქციის კოლექტივს ახალი წლის დადგომას. ვუსურვებ ახალ შემოქმედებით წარმატებებს. მადლობა მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს გაზეთის რედაქციისადმი გამოჩენილი დახმარებისათვის.

**P.S. გაზეთი „ბორჯომი" ყველამ უნდა ვიკითხოთ. ამ გაზეთში მხოლოდ სიმართლე და არა ყურით მოთრეული მასალები იბეჭდება. მოგიწოდებთ, გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „ბორჯომი", მის ფურცლებზე ჩვენი რაიონის თანამედროვე ისტორია იწერება.**

**როსტომ ყველიაშვილი,**
**აქტიური მკითხველი.**

# სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ



**მიხეილ კაკაბაძე ის ბორჯომელი ახალგაზრდაა, რომელმაც ჯერ კადეტთა ლიცეუმში გადაწყვიტა სწავლა, შემდეგ კი ეკონომიკის ფაკულტეტზე შეაჩერა არჩევანი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაირიცხა. მიაჩნია, რომ კარგი ეკონომისტისთვის აუცილებელია არაორდინალურად ფიქრის უნარი; შესაძლებლობების დანახვა, იქ სადაც სხვები დაბრკოლებებს ხედავენ და აქვთ კარგი ინტუიცია.**

**მასთან საუბრისას ნათელი ხდება, როგორია განვითარებული ახალგაზრდების სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ, განვითარებასა და წინსვლისაკენ. თავად ასე იხსენებს პირველ დამოუკიდებელ ნაბიჯებს.**

- 2018-2019 წლებში ვსწავლობდი კადეტთა ლიცეუმში. აქ, საინტერესო წლები გავატარე, რადგან ახლა ვთვლი, რომ ასე პატარა ასაკში გამოიცვალო სკოლა, საცხოვრებელი ადგილი და დაიწყო დამოუკიდებლად ცხოვრება, გაბედული ნაბიჯია. კადეტთა ლიცეუმში სწავლა დიდ გამოცდილებასა და ცოდნას გაძლევს, რასაც ჩვეულებრივ საჯარო სკოლაში სწავლის დროს ვერ მიიღებ. მეტად კონკურენტუნარიანი და დამოუკიდებელი ხდები, განსხვავებულ ადამიანებთან მარტივად კომუნიკაციის დამყარების უნარი გინვითარდება და სხვანაირად იწყებ აზროვნებას.

**⬢ რატომ გადაწყვიტე კადეტთა ლიცეუმში სწავლა?**

- ვფიქრობ უფრო ინტერესის გამო, რომ ვთქვა, ვიცოდი იქ რა მელოდამეთქი - მოგატყუებთ, არ ვიცოდი ლიცეუმის შიდა სამზარეულო, უბრალოდ იქაური სწავლის ფორმატის შესახებ მქონდა ინფორმაცია და მშობლებისგან დამოუკიდებლად ცხოვრება მიზიდავდა.

**⬢ რაიმეს შეცვლა, რომ შეგეძლოს რას შეცვლიდი?**

- საკუთარ თავზე თუ მეკითხებით, საკუთარ თავში კომფორტის ზონიდან მარტივად თავის დაღწევის უნარს კიდევ უფრო განვავითარებდი, რადგან კომფორტის ზონა ადუნებს ადამიანს და პროგრესირების ტემპს ანელებს.

**⬢ მოგვიყევი, თქვენს წარმატებებზე?**

- ჩემთვის, ჩემი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატება რეალისტობა და საკუთარ თავთან თვალის გასწორებაა. ამ ორი თვისებით მიიღწევა დარჩენილი მატერიალური წარმატებები. შეიძლება ვიღაცამ ლიცეუმში სწავლება, გუგლისა და სხვა კომპანიების დიჯითალ მარკეტინგის კურსების წარმატებით გავლა ჩათვალოს წარმატებულად, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. ჩემი აზრით, წარმატება ისაა, რაც თვით კმაყოფილებას გგვრის და ჩემთვის ამ გრძნობას ჯერ მხოლოდ შინაგანი განვითარება იწვევს.

**⬢ პანდემიურმა ცხოვრებამ რა შეცვალა თქვენს შემთხვევაში?**

- ბევრი რამ, ასე ვთქვათ მეტწილად სახლში გამოკეტვამ თავდაპირველად მოტივაცია დამიქვეითა, მაგრამ მოგვიანებით დადებითი კუთხითაც შეცვალა რაღაცები, მაგალითად, ადაპტაციის და რაიმე ახალთან შეგუების უნარი შევიძინე, მალე გადავერთე ონლაინ სწავლებაზე, მუშაობაზე და ა.შ.

**⬢ როგორც ახალგაზრდა ეკონომისტს - გკითხავ, რა იქნება საუკეთესო არჩევანი ქვეყნისთვის?**

- შრომისუნარიანობის გაზრდა, რადგან ეს უკანასკნელი პირდაპირ პროპორციულ დამოკიდებულებაშია ქვეყნის ეკონომიკის ზრდასთან, რაც უფრო იზრდება შრომისუნარიანობა, მით უფრო ფართოვდება და ძლიერდება ქვეყნის ეკონომიკა, ძლიერი ეკონომიკა კი ძლიერ ქვეყანას ნიშნავს. რაც შეეხება მთავრ კითხვას, თუ როგორ უნდა გაიზარდოს ქვეყანაში შრომისუნარიანობა (მწარმოებლურობა) დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კონკურენტუნარიანია ქვეყნის მუშახელი. სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობის ამაღლება კი ახალი ტექნოლოგიების დანერგვის მეშვეობითა და ტრენინგებითაა შესაძლებელი. თუ ამ მითითებებს სწორად გავყვებით, ამით შევძლებთ მსოფლიო ეკონომიკაში თავის დამკვიდრებას, რაც გარანტია ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერისა.

ჩვენი სამშობლო მეტად სპეციფიკურია. მაგალითად, ქვეყნის, როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარედ შესაძლებელია ერთდროულად ჩაითვალოს ადგილმდებარეობა. დადებითად ჩვენი ლანდშაფტის და უარყოფითად ჩვენი მეზობლების გამო, რადგან არც ისე კეთილმოსურნე მეზობლები გვყავს. დადებითად ასევე შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი ენა, რომელიც მეტად მრავალფეროვანი დამოსახერხებელია; ეს ყოველივე დროის ხანგრძლივ პერიოდში დადებით ზეგავლენას ახდენს საზოგადოებაზე.

**⬢ როგორ იქმნება ძლიერი ადამიანების ფენომენი?**

- ცოდნის მიღების და სწორად დამუშავების უნარით, რეალისტობით, მოთმინების უნარით და სიახლეებისკენ სწრაფვით.

**⬢ რას ისურვებდი ბორჯომში ახალგაზრდებისათვის?**

- კინოსა და თეატრს. ვფიქრობ, ეს ორი ადამიანის ცნობიერების არეალს მეტად აფართოვებს და ხელოვნებისადმი ლტოლვას უჩენს და ეს სწორედ ისაა, რაც ახალგაზრდა თაობას ძალიან სჭირდება.

**იზა იანვარაშვილი**

# ოცნება რეალობად იქცა

**ახალი წელი ადამიანებისათვის ყველაფერ საუკეთესოსთან, დადებითთან და პოზიტიურთან ასოცირდება. რაც მთავარია, ყველაზე სანუკვარი და დიდი ხნის ნანატრი ოცნებების ასრულებასთან. მითუმეტეს ოცნებასაც ხომ გააჩნია? იმ ოცნებას, რომელზეც უკვე წლებია ოცნებობ.**

**ნათია მაჭარაშვილი** და **ირაკლი გელაშვილი** ის ადამიანები არიან, რომლებისთვისაც 2021 წელი ყველაზე დიდი ხნის ოცნების ასრულების წლად იქცა. ნათიამ და ირაკლიმ ოჯახი 2016 წელს შე[...] ქმნეს. რამდენიმ[...] წლიანი უშედეგ[...] მკურნალობის შემდეგ[...] მათ მეგობრის რჩევით[...] საქართველოში საკ[...] მაოდ ცნობილ და[...] ბორჯომელებისათვის[...] ნამდვილად საამაყო[...] ექიმ რეპროდუქ[...] ტოლოგს **ნატალია ჯაფარიძეს** მიმართეს[...] დასახმარებლად. ნატა[...] ლია ექიმი, 2019 წლის[...] ზაფხულში გაიცნეს და[...] მასთან დაახლოებით[...] წელიწადნახევრიანი[...] მკურნალობის შემდეგ[...] დიდი ხნის ნანატრი[...] ოცნება ახდა და[...] ქვეყანას პატარა ვა[...] ჟკაცი, გაბრიელი მოევლინა.



**ნათია მაჭარაშვილი:** ალბათ დამეთანხმებით, როცა ქალი თხოვდება და ოჯახს ქმნის, ეს სიყვარული კიდევ უფრო ღრმა და მყარი რომ გახდეს, შვილის არსებობაა საჭირო. მე და ჩემმა მეუღლემ ძალიან რთული გზა გამოვიარეთ. ჩვენი საფიქრალი სხვა არაფერი იყო, თუ არა ნანატრი შვილის ყოლა. .ძალიან დიდი სტრესის ქვეშ ვიყავით, ვმკურნალობდით და შედეგი არ იყო. 2019 წლის ზაფხულში ჩვენი მფარველი ანგელოზი, ექიმი ნატალია ჯაფარიძე გავიცანით. პანდემიის გამო ნატალია ექიმთან მკურნალობის ხანგრძლივობა თითქმის წელიწადნახევრამდე მაინც გახანგრძლივდა. ის არა მარტო გვერდში გვედგა, როგორც ექიმი, არამედ როგორც რიგითი ადამიანი, რომელიც გვგულშემატკივრობდა მკურნალობის დაწყების წუთიდან, გაბრიელის დაბადებამდე. ახლაც მახსოვს ის ემოციები, როდესაც სასურველი შედეგი დადგა და შევიტყვეთ ორსულობის შესახებ, ჩვენზე ბედნიერი ადამიანი არ არსებობდა ამ ქვეყნად. სამწუხაროდ, მეოთხე თვეში კოვიდი შემხვდა, თუმცა არც ამას შევუშინდი და ორსულობა საკმაოდ მშვიდად გავატარე. რაც მთავარია, ჩვენი დიდი ხნის ნანატრი გაბრიელი 2021 წლის 26 სექტემბერს ჯანმრთელი მოევლინა ქვეყანას. ჩემი ოჯახისათვის 2021 წელი ნამდვილად ფეხბედნიერი წელი იყო. ყველა უშვილო წყვილს ვუსურვებ ოცნების ასრულებას. ბედნიერ შობა-ახალ წელიწადს დაესწარით, სიკეთის წელი ყოფილიყოს თითოეული თქვენთაგანისათვის.

**ნატო მელიქიძე**

# მრავალ ახალ წელს საქართველოვ, დამილოცნიხარ!



**ადამიანები ყოველთვის იმედით ვეგებებით ახალი წლის შემობრძანებას. ფეხბედნიერი ყოფილიყოს თითოეული ოჯახისათვის ახალი წელი, ჯანმრთელობას, მშვიდობას, გამრავლებას და ოცნებების და სურვილების შესრულებას გისურვებთ.**

**აჰა, ეს წელიც მიითვალა მარადისობამ,**
**სინანულით და ტკივილით გაჯერებული,**
**მერმისის რწმენით ველოდებით ახლის დადგომას,**
**მის სიკეთეში უცილობლად დაჯერებული.**

**დედაო ღვთისა, შენ გვაკმარე სისხლის წვიმები,**
**არ მოუშალო შენს წილხვედრ ერს ხვალის იმედი,**
**მაღალო ღმერთო, სალოცავო წმინდანო,**
**მოგვეც შეძლება განსაცდელი გადავიტანოთ.**

**მწვავე წყლულები დაუყუჩე ღალატით ძაბუნს,**
**თვისივ სიკეთით ჯვარცმულსა და განწირულ მამულს,**
**წელო ახალო, განაქარვე ძველი ნაღველი,**
**ქრონიკონში დაიმკვიდრე ძლევის სახელი,**
**მრავალ ახალ წელს საქართველოვ, დამილოცნიხარ,**
**გაგიმრავლდეს და ერთი ასად გექცეს ქართველი.**

**დარეჯან ბარათელი,**
ბაკურიანის საქალაქო ბიბლიოთეკის გამგე.
2021 წ. დეკემბერი.

კითხვებით ახალგაზრდებთან

# [illegible]

**საახალწლოდ გადავწყვიტეთ უფროსკლასელებთან რამდენიმე კითხვაზე მიგვეღო პასუხი. მნიშვნელოვანია, რას ფიქრობენ ჩვენი ქალაქის ახალგაზრდები დღეს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, როგორ ესახებათ სამშობლოს მომავალი.**

- **რა არის თქვენთვის სამშობლო?**
- **რას ფიქრობთ დღეს საქართველოში შექმნილ ვითარებაზე?**
- **თქვენ რომ ხელისუფლებაში იყოთ, რას გააკეთებდით?**
- **ქართველთა რომელ დადებით და უარყოფით ტრადიციაზე გაამახვილებდით ყურადღებას?**
- **როგორ გესახებათ საქართველოს, ბორჯომის მომავალი?**
- **როგორი იმედებით ხვდებით ახალ - 2022 წელს?**

**1. ჯული ნოზაძე, მეცხრეკლასელი:** სამშობლო ის ადგილია, სადაც ჩემი უფალი სახლობს; სადაც მიმიღებს მე და მასთან ერთად ვიქნები. სამშობლო ბედნიერებაა, რომელიც ადამიანმა შეიძლება განიცადოს. სამშობლო სიყვარულია - ყველაზე დიდი, უანგარო, წრფელი და სრულყოფილი სიყვარული, რომელიც ადამიანს შეუძლია.



2. დღეს საქართველოში ძალიან ბევრ ადამიანს უჭირს... მე ჯერ ვსწავლობ და არ ვმუშაობ, მაგრამ უფროსები შრომით ანაზღაურებას უჩივიან. ვირუსმა ხალხი ძალიან დიდი გასაჭირში ჩააგდო, პროდუქტის ფასმა მოიმატა. გაჭირვებულს კიდევ უფრო გაუჭირდა!

3. ახალგაზრდებს შევთავაზებდი სამსახურებს. სერიოზულად ავამოქმედებდი ისეთ სივრცეს, სადაც ადამიანები მიიღებდნენ ბიზნეს-განათლებას, შესაბამისად მათ ეცოდინებოდათ როგორ წამოიწყონ თუნდაც, მცირე ბიზნესი. აი, მაგალითად, ცემში არ გვაქვს კარგი მაღაზია, ზაფხულობით იმდენი ხალხი ისვენებს იქ, ნამდვილად წავახალისებდი იმ ადამიანებს, ვისაც აქვს ამ კუთხით მიდრეკილება.

4. ნანატრი ოცნების ასრულების წელი იყო 2021 წელი, მაგრამ დროთა განმავლობაში ყველაფერი იცვლება. ახალი დრო მოდის, ქართული ტრადიციები დავიწყებას ეძლევა. გადავდივართ ევროპულ ყაიდაზე. ჩემი აზრით, ბევრი ტრადიცია შესაცვლელია, მაგალითად, სვანეთში დღესაც იციან სისხლის აღება. ამ ტრადიციის დამსახურებით ნახევარზე მეტი სვანური გვარი აღარ არსებობს. მე უკვე ახალ საქართველოში დავიბადე და ძველმოდური ტრადიციები განადგურების პირასაა. ევროპული აზროვნება მკვიდრდება, სადაც ვხედავ განვითარებას.

5.ბორჯომი უფრო განვითარებული იქნება - მეტი მარკეტებით, რესტორნებით და გასართობი პარკებით.

6. ცხოვრება თავის წესს დაუბრუნდება და აღარ მოგვიწევს რეგულაციებში ცხოვრება!

**ქეთევან ბითაძე, მეთერთმეტეკლასელი:** 1. ნოდარ დუმბაძე წერდა: „სამშობლო ისეთი ფენომენია, რომელსაც ასაკი არ გააჩნია, ისევე, როგორც დედას და დედასავით მარადიულია". სამშობლო ჩემთვის ყველაფერია, რომელიც სულ გიყვარს და არასოდეს არ გიკვდება, რომელიც შენ გულში ისეთივე ადგილს იკავებს, როგორც დედა.



2. პანდემიის და არამარტო პანდემიის გამო, ქვეყანაში მძიმე ვითარებაა. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ხალხი გაუცხოვდა და ქვეყნისათვის აღარავის სცალია.

3. ვიზრუნებდი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის. ილია წერდა: „რომელი ქვეყანა სჯობია, მაძღარი თუ მრთელი? - ორივენ ერთადა. უერთურთოდ ქვეყანა გონჯაა"

4. დადებით ტრადიციად მივიჩნევ, როდესაც აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე ცოცხლებსაც და მიცვალებულებსაც ვულოცავთ ქრისტეს აღდგომას, ხოლო არ მომწონს ქელეხის ტრადიცია: ახლობელს, ან ოჯახის წევრს კარგავ, დადარდიანებული ხარ და გიწევს ფიქრი იმაზე, თუ როგორ გაუმასპინძლდე სტუმრებს - ეს არადროულია.

5. ყოველთვის მაქვს მომავლის იმედი. ვფიქრობ, ერთ დღესაც საქართველო შეუერთდება განვითარებული ქვეყნების რიცხვს და იქნება ერთ-ერთი მოწინავე სახელმწიფო. „შენი ივერი აღსდგეს ძლიერი, და დადგეს ერად სხვა ერთა შორის, რომ კვლავაც მოგვეცეს სიტყვა ქართული რუსთაველისა. სულით განვახლდეთ, და განქრეს ბნელი უმეცრებისა!.." - წერდა გრიგოლ ორბელიანი.

7. ყოველ ახალ წელს ვხვდები ახალი იმედებით და უკეთესი მომავლის რწმენით. ყველას გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს.

**ქრისტინე ცეცხლაძე, მეთერთმეტეკლასელი:** 1. სამშობლო ადგილია, სადაც დავიბადე... ეს ის ადგილია, რაოდენ ცუდიც არ უნდა იყოს, მაინც გიყვარს, სამშობლო ჩემთვის ჩემებური სიყვარულია.



2. დღევანდელი ვითარება, ყოვლად საშინელია. ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ადგილი სადაც: ილია, ვაჟა, აკაკი, გამსახურდია დააბიჯებდნენ. იყო დოჩანაშვილიც... რუსთველი ასეთ საქართველოს არ იმსახურებს!

3. მე რომ ხელისუფლებაში ვიყო, ბევრ რამეს შევცვლიდი. პირველ რიგში, განათლების სისტემაზე ვიზრუნებდი, შემდეგ კი მოხუცებს, ობლად დარჩენილ ბავშვებს ყოვლმხრივ დავეხმარებოდი. ასევე ვიზრუნებდი ეკონომიკურად გამეძლიერებინა საკუთარი სამშობლო.

4. ქართველების სტუმართმოყვარეობა გამორჩეულად დადებითი ტრადიციაა, რომელიც ოდითგანვე მოყვება ერს, მაგრამ ცუდი ისაა, რომ სიახლისადმი შიში ყოველთვის იყო. უჭირთ ახლის მიღება და ახლაც ასეა. ამას დავგმობდი.

5. მაფიქრებს ის, რომ ახალგაზრდობა გაქცევაზე ფიქრობს. სად მივდივართ? სხვაგან რა გველის? ამაზე პასუხები სრულყოფილად მეარ მაქვს, მაგრამ ადამიანი ერთხელ ცხოვრობ და მიისწრაფი იმისკენ, რომ უფრო უფრო სრულყოფილად ვიცხოვროთ.

6. ვფიქრობ, 2022 წელი არის კიდევ ერთი შანსი შეცდომების დანახვის და მათი გამოსწორებისა. ისტორია ყოველთვის მეორდება, მხოლოდ იცვლება გარემო. იმედი მაქვს, ახალი - 2022 წელი სასიამოვნოდ კარგ ცვლილებებს მოგვიტანს.

**მარიამ გელაშვილი, მეთერთმეტეკლასელი:**

1. ჩემთვის სამშობლო ასოცირდება უამრავ სიკეთესთან. სამშობლო ის ადგილია, სადაც დავიბადე და გავიზარდე. ასევე, ასოცირდება ერთ დიდ ოჯახთან. საქართველო ქვეყანაა დიდ პოლიტიკურ რუკაზე.



2. საქართველო ის ქვეყანაა, რომელსაც უძველესი და უდიდესი ტრადიცია აქვს. ამ ქავყანამ დიდ ქარტეხილებს გაუძლო. ჰქონდა დიდი ომი „ძლევაი საკვირველი", იყო ბასიანი, კრწანისი.... გადატრიმული „ნიკოფსიიდან დარუბანდამედე", მძიმე ფურცლები იწერება XIX საუკუნიდან დღემდე. 1993 წლამდე გვქონდა აფხაზეთი, 2008 წლამდე სამაჩაბლო, რომლებიც დღემდე ოკუპირებულია. ხე-ტყის უკანონო ჭრებმა ბევრი პრობლემა შექმნა, გახშირდა მეწყერები, შეიცვალა კლიმატი, დაბინძურდა ჰაერი, ემიგრაციაში ბევრი ადამიანი წავიდა, სოფლები დაიცალა.

3. მე რომ ხელისუფლებაში ვიყო, პირველ რიგში მოვაგვარებდი უმუშევრობის პრობლემას. სოფელში ცხოვრება შეძლებისდაგვარად გამოსწორდებოდა, მთისთვის მორგებულ პროექტს განვახორციელებდი. ფასების დასტაბილურებას ხელს შევუწყობდი, პენსიას სოლიდურად გავზრდიდი.

4. ქართველთა დადებითი ტრადიციებიდან გამოვარჩევდი სტუმარ-მასპინძლობას, რითაც საქართველო განთქმულია მთელ მსოფლიოში, ცეკვის და სიმღერის უნიკალურ კულტურას გვაქვს, რომლის სავიზიტო ბარათიცაა ანსამბლი „სუხიშვილები". უარყოფითი? ღვინის დალევის დაც ქეიფის კულტურას მივხედავდი - მხოლოდ ქართველებმა ვიცით დაუმთავრებელი ღრიანცელი. დროს არ ვაფასებთ.

5. ბორჯომის მომავალი წარმომიდგენია მეტი ყვავილებით მორთული ქალაქი, რომ სტუმრების თვალი დაატკბოს. ხშირად მესმის, ბორჯომს დიდი პოტენციალი აქვს, ხელშეწყობა უფრო მეტია საჭირო.

6. 2022 წელს მე ვხვდები დიდი იმედებით, რადგან ველი კორონას გაქრობას, ეკონომიკის აღორძინებას, ახალ კარგ ინიციატივებს ქვეყნის სასიკეთოდ.

**თემურ კიკნაძე, მეთერთმეტეკლასელი:**

1. სამშობლო ჩემთვის იგივე სახლია, ოღონდ ამ სამშობლოს ბედი შედარებით მეტ ადამიანზეა დამოკიდებული, ვიდრე ოჯახის!

2. ჩემი აზრით, ორივე მხარე უბრალოდ ფულისთვის იბრძვის და არა საქართველოს კეთილდღეობისთვის.

3. მე პირადად, ვერ წარმომიდგენია მასეთ თანამდებობაზე ჩემი თავი, მაგრამ უკეთესი იქნება იმ ადამიანს მივცეთ გზა, ვისაც გაჭირვება აქვს გამოვლილი და იცის ხალხს რა აწუხებს. ასეთი უფრო იზრუნებს მოსახლეობაზე.

4. ვიქნები პირდაპირი და გეტყვით, რომ ქართველებს დადებითი ერთადერთი სტუმართმოყვარეობალა შემოგვრჩა და ნელ-ნელა მაგასაც ვკარგავთ... უამრავი საშუალება გვაქვს, უკეთესები გავხდეთ ეკონომიკურად, მაგრამ არ ვიყენებთ. ლუარსაბის სიზარმაცე ყველა ჩვენგანშია! ხელი თუ არ გავანძრიეთ, ტრადიციებიც აღარ შეგვრჩება!

5. მართალია, ახალგაზრდა, რომელსაც წინ აქვს მთელი ცხოვრება, ასე არ უნდა ვფიქრობდე, მაგრამ... დიდი ალბათობით, კარგი არაფერი მგონია წინ - მომავალში!

6. დღესასწაულებიც ერთ-ერთი თვალსაჩინოებაა იმისა, რომ სახელმწიფო ტყუილად ყრის ფულს დეკორაციებში. ხომ შეიძლება ათასამდე ოჯახი გადაარჩინოს სიღარიბისგან?!

ჩაიწერა **მონიკა ქანტურიამ**

# მზია ალამაზებს ბორჯომის ქუჩებს

**ქალბატონი მზია აბრამაშვილი იმ პიროვნებათა კატეგორიას ეკუთვნის, რომელიც ჩვენს ქალაქში წლებია თავის საქმეს პირნათლად ემსახურება. ასე ჩუმად ალამაზებს ბორჯომის ქუჩებს მასთან შეხვედრა და საუბარიც კი. უთქმელი, მშვიდი და ყველასთვის გულთბილი სოლფეჯიოს მასწავლებელი დიდი თხოვნის შემდეგ რესპონდენტობაზე დავითანხმე.**

საუბრის დასაწყისშივე მოსწავლეთა სიყვარულზე ამახვილებს ყურადღებას, იგივე იგრძნობა მუსიკალური სამყაროს შეცნობით დაინტერესებული პატარა მოსწავლეებისგანაც.

52 წელია ბორჯომის სამუსიკო სკოლაში სხვადასხვა თაობის წარმომადგენელი აღზარდა და ხელოვნების ფაქიზი სულის ამოძახილი მათ გულებამდე მიიტანა. მუსიკალური სასწავლებლის დასრულების შემდეგ პედაგოგიურ უნივერსიტეტში დაწყებითი განათლების სპეციალისტიც გახდა, თუმცა მუსიკის სიყვარულმა გული მუსიკალური სკოლის მოსწავლეებისკენ გაუწია.

მისი ოჯახი ხელოვნების დიდი მოტრფიალე გახლავთ. ბიძა გოგი აბრამაშვილი გორის სახელმწიფო თეატრის მთავარი რეჟისორი იყო.

- გვიყვარდა სიმღერა და მეც მათთან ერთად შევიყვარე. ამასთან, ძალიან კარგი პედაგოგები მყავდა ლეილა ლაბაძე, ლეილა მახარეძე, ზინა გავრილენკო. ჩემს პედაგოგებს რჩევებს ვეკითხებოდი, პასუხად ვიღებდი, რომ პირველი რიგში მთავარი მოსწავლეების სიყვარული იყო.

როგორი პასუხისმგებლობითაც ჩავატარე პირველი გაკვეთილი, ასე მოვდივარ დღემდე. სმენა უნდა ჰქონდეს მოსწავლეს, ეს აუცილებელი პირობაა, ზოგი შეიძლება ვერ მღეროდეს, მაგრამ შინაგანი სმენა ჰქონდეს. ზოგჯერ ამ ფაქტსაც ეჭიდები მასწავლებელი და გსურს წარმოაჩინო მოსწავლის დადებითი მხარე.

- **რა ცვლილებებს ხედავთ თაობებს შორის?**

- წარსულში თითქოს სავალდებულო იყო მუსიკალური განათლების მიღება, დიდ ყურადღებას აქცევდნენ. დღეს ისე ამთავრებენ მუსიკალურ სკოლას, ჩვენ მშობელს შეიძლება საერთოდ არ ვიცნობდეთ.



აქ, ყველა ერთობლივი ძალებით ვცდილობთ, რომ მომავალი თაობა აღიზარდოს ხელოვნების მოყვარულ და პროფესიონალ პიროვნებებად. აღნიშნულ ფაქტზე მეტყველებს მასწავლებელთა თავდადება და ჩვენი მოსწავლეების არაერთი წარმატება.

საუბრისას, დიდი სიყვარულით იხსენებს მის აღმზრდელ მამიდას, თერაპევტს, დამსახურებულ ექიმს **ნუნუ აბრამაშვილს.**

ქალბატონ მზიას მხატვარ ზაურ სახვაძესთან ერთად ოჯახის შექმნის შემდეგ ქალიშვილი ნინიკო შეეძინა. ახლა იგი ორი შვილიშვილის დაჩის და კატოს ბებიაა. შვილიშვილებიც მუსიკის მიმართ უკვე დიდ ინტერესს ავლენენ, ისევე როგორც მისი ნინიკო, რომლის მოსმენა ღონისძიებებზე მსმენელს გულს უთბობდა. მან პროფესიად თარჯიმან-რეფერატობა არჩია და უმაღლესი განათლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო.

მზია აბრამაშვილის მოსწავლეთა შორის იყო ნატო გელაშვილი, რომლის სახელსაც მასწავლებელი დიდი სიყვარულითა და სითბოთი იხსენებს.

ბედნიერ შობა-ახალ წელს ვუსურვებთ, ჩვენს ერთგულ, მშვიდ და ყველაზე გულკეთილ ბორჯომელ ქალბატონს. იგი თავად ჩუქნის გარშემომყოფებს ბედნიერებას. ადამინის უპირველესი დანიშნულებაც ხომ სწორედ ესაა.

ჩვენი გაზეთისადმი მის დადებით დამოკიდებულებასაც ხშირად ვგრძნობ, როდესაც მეუბნება, - თქვენს გაზეთში წავიკითხე ასე ეწერა, როგორ გამიხარდა.

**იზა იანვარაშვილი**

# ალმანახის მოლოდინში

**როგორც მოგეხსენებათ, გაზეთ „ბორჯომის" რედაქციაში შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაცია „მომავლის ბორჯომი", რომლის ბაზაზე დაფუძნდა ლიტერატურული სალონი. სწორედ, აღნიშნულ სალონს სათავეში ჩაუდგა პოეტი, გულმხურვალე პატრიოტი ჩვენი ქვეყნისა და ქალაქისა - ნინო ხოტივარი-ლომიძე.**

**- ქალბატონო ნინო, გულწრფელად მახარებს ის ამბავი, რომ პირადად თქვენ, პოეტური სულის მქონე პიროვნებამ მიიღეთ ეს დროული შეთავაზება. ლიტერატურული საზოგადოების მუშაობა რა ეტაპზეა ახლა?**

- მართალია, ამ ეტაპზე მხოლოდ ენთუზიაზმი აერთიანებთ აქ შეკრებილ ადამიანებს. ნაბიჯებია გადასადგმელი! ხშირი შხვედრებიც ვერ ხერხდება საზოგადოების ახლადშემოერთებულ ახალგაზრდებთან, რომ ერთად ვიმსჯელოთ სულიერებაზე. ონლაინ კი ძნელია პოეზიის ავ-კარგზე ესაუბრო... აქტიურობისკენ მოვუწოდებთ როგორც ახალგაზრდებს, ისე ღვაწლმოსილებს. საინტერესოა მათი კალამი. ბორჯომში ამ კუთხით სპექტრი მცირე არაა: ჩვენ რომ შევკრიბოთ **ანასტასია ხაჩიძის, მარიზა ჯიქიას, უშანგი ჯანგირაშვილის, მაკა ბლიაძის, დალი ბანცაძის, იზაბელა სარქისიანის, თინათინ კოლოტაშვილის, ოლიკო ლომიძის** ლექსებიდან რამდენიმე ნიმუში, უკვე ალმანახის ერთი ნაწილი მზად იქნება, ხოლო მეორე - დიდი ნაწილი უნდა დავუთმოთ ახალ თაობას. თანადგომა უკვე აღგვითქვა ბატონმა **გიორგი ფერაძემ,** ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიამ, დაინტერესდა „აი-დი-ეს ბორჯომის" პიარმენეჯერი, **ნანიკო კუპრაშვილი**. შემოქმედების შერჩევისას არ იქნება ურიგო თანაჩართულობა ვთხოვოთ ლიტერატურულ კონკურსებში გამოცდილ, „ლიტერატურული მესხეთის" რედაქტორს, ბატონ **ავთო ბერიძეს.**

ესაუბრა **მონიკა ქანტურია**

# ჩანახატის ენით მოყოლილი



**ისეთი დღე** იყო, ბორჯომულ ნაცნობ-უცნობობას, რომ შეეფერებოდა. პირბადეშიც რომ იცნობ თანამიწელს, თანა ცაფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტელს და მათი, მხოლოდ ხილვითაც, რომ ბედნიერი ხარ. სცენაზე იდგა ბორჯომის კოლორიტი, ბატონი **ვალერიან ლომიძე** და იხვეწებოდა თავისი პროფესიულ-მზრუნველური რიტორიკით: - **მეკარგება ხალხი, ბორჯომზე მოფიქრალმა და მომღერალმა იკლოო. ახალი თაობა მოდის და ნოყიერი წიაღი უნდა შევუქმნათ, რომ ბუდიდან აფრენისთანავე ლამაზად ფრენა შეძლონო...** რამდენიმეჯერ ბორჯომის მუსიკალური სკოლის დარბაზში შევიკრიბეთ საზოგადოების ის ნაწილი, ვისთვისაც ფერადი სიზმრები უცხო არ არის. გადავწყვიტეთ ლიტერატურული საზოგადოების ჩამოყალიბება. ამ გაუსაძლის, პანდემიის პირობებში, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სიჯანსაღე სულიდან უნდა წამოვიდეს, დამეთანხმებით. ვიწყებთ პოეზიისა და პროზის ესკიზების შეგროვება-თავმოყრას ალმანახისთვის. აღსანიშნავია, რომ საინტერესო ხედვით გამოგვეცხადნენ სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები, ცხოვრების ასპარეზზე, სხვადასხვა ქალაქებში გასული ბორჯომის ინტელიგენცია. აქ დაბადებულ-გაზრდილი, ბორჯომის მკვიდრნი. რა გასაკვირია, რომ თვალწარმტაც ბორჯომს ჰყავს მუზის ქალღმერთები და შესაბამისად ნიჭიერი საზოგადოება. შეგვეხმიანეთ! ერთად ვაკეთოთ ეროვნული საქმე! გაგვაცანით თქვენი ალტერნატიული სამყარო! ქართულ ენაში ხომ უამრავი მადლიანი ჭეშმარიტება დევს. ვეძებოთ, მივაგნოთ, ამოვხსნათ ეს ღვთიური საგანძური. ულრმესი მადლობა ბატონ ვალერიან ლომიძეს ამ წამოწყებისთვის! ბედნიერ, იმედიან, ხვავ-ბარაქიან, ფხიზელ-გონებიან და ვაზისჯვრის მადლიან წელს გისურვებთ ჩემო ბორჯომელებო! ჩვენ ახალ ცივილიზაციაში ვაბიჯებთ და ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ. 2022 წლისგან, პირველ რიგში პანდემიის დასასრულს ველი.

**ნინო ხოტივარი-ლომიძე**

სოციალური სფერო

# უპოვართა მზრუნველობა ჩვენი ვალია



**რამდენიმე წელია სახელმწიფომ თითქმის მთელი ქვეყნის მასშტაბით უფასო სასადილოები გახსნა, სადაც სოციალურად დაუცველებს და სხვადასხვა კატეგორიის მქონე მოქალაქეებს ყოველდღიურად უფასო სადილის მიღება შეუძლიათ. მათ შორისაა ბორჯომიც, სადაც უფასო სასადილო 2008 წლიდან ფუნქციონირებს.**

**რამდენი ადამიანი სარგებლობს ყოველდღიურად უფასო სასადილოს მომსახურებით, რა თანხებია გამოყოფილი აღნიშნული სამსახურისთვის და მომავალი წლიდან, კიდევ თუ იგეგმება დამატებითი თანხები აღნიშნული სასადილოს ფუნქციონირებისათვის ამ და სხვა საკითხებზე, ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მომსახურების ცენტრის დირექტორი, ბატონი ვაჟა გელაშვილი გვესაუბრა:**

**■ ბატონო ვაჟა, სულ რამდენი ბენეფიციარი სარგებლობს ყოველდღიურად უფასო სასადილოთი? რა კატეგორიის ადამიანები არიან ძირითადად?**

- ჩვენ სასადილოში უფასო სადილით ყოველდღიურად 280 ბენეფიციარი სარგებლობს და ესენი არიან სოციალურად დაუცველები, I და II ჯგუფის ინვალიდები, მარტოხელა პენსიონერები.

მნიშვნელოვანია, რომ უკვე 2022 წლიდან დამატებით 15 ბენეფიციარს შეგვიძლია გავუმასპინძლდეთ უფასო სადილით.

**■ როგორია მთელი დღის მენიუ რომ გვითხრათ ორიოდე სიტყვით, რა სახის საკვებს სთავაზობთ სოციალურად დაუცველებს?**

- ყოველდღიური მენიუ მოიცავს: 400 გრ პურს, სოსისს, ქათმის ფილეს, საქონლის ხორცს, თევზს. მონაცვლეობითაა ბოსტნეული, ბურღულეული და ლიმონათი.

**■ რა რაოდენობის თანხა იხარჯება თითოეული ბენეფიციარის კვებაზე?**

- თითოეული ბენეფიციარის კვებაზე ყოველდღიურად 2,50 ლარი იხარჯებოდა, ხოლო 2022 წლიდან თანხა გაიზრდება და 3 ლარი გახდება.

**■ 2022 წლის ბიუჯეტიდან რა რაოდენობის თანხა გამოიყოფა ბენეფიციართა კვებაზე?**

- 2022 წლის ბიუჯეტიდან ჩვენი სასადილოსთვის 259 ათას ლარამდე თანხა გამოიყოფა.

**■ კოვიდ-19-ის პირობებში, იმ ბენეფიციარებისთვის, რომლებიც რისკ ჯგუფებს წარმოადგენდნენ ბინაზე ხდებოდა საკვების მიწოდება. კიდევ თუ გაქვთ მსგავსი სერვისი?**

- დიახ გვქონდა და 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი მანქანები გვემსახურებოდნენ, თუმცა ამ ბოლო პერიოდში თუკი ვინმეს ავადმყოფობის გამო ექმნება პრობლემა და ის ადგილამდე ვერ მოდის კუთვნილი საკვების წასაღებად, მე, პირადად ჩემი მანქანით მიმიტანია და ამ მხრივ პრობლემა არც მომავალში იქნება ნამდვილად.

**■ საახალწლოდ თუ აპირებთ, რომ ბენეფიციარებს დამატებითი საკვები დაურიგოთ?**

- საახალწლოდ ბენეფიციარებს აუცილებლად დავურიგებთ საკვებ ზეთს, ტკბილეულსა და ხილს.

**დიდი მადლობა ამომწურავი პასუხებისთვის. ბედნიერ შობა-ახალ წელს დაესწარით.**

**ესაუბრა ნატო მელიქიძე**

# ამ იუმორესკებით ახალ წელს ვულოცავ ჩვენი გაზეთის მკითხველებს!

## წერტილიც ვარ და...

**სამყაროს უსასრულო სრბოლაში**
**ვინ ვარ, რა ვარ და რას ვშვრები?**
**პაწაწინა მოძრავ წერტილად**
**გავჩენილვარ და... გავქრები;**

**შორიდან ვჩანვარ წერტილი, თორემ...**
**აბა, ბუზს ჰკითხეთ, წერტილი ვარ?**
**ჭიანჭველებს ჰკითხეთ, ხოჭოს...**
**ბალახებში განაბულები დამცინიან:**
**„რამხელა ვირგლა ხარ, ბიჭო“!**

## ,,შეცდომა“ მისალმებაში

**„როგორ ბრძანდებითო?“ – მილიონერს**
**მივესალმე და... დავირცხვინე;**
**„ასე არ უნდა მეთქვა, „მაპატიეთ“,**
**როგორ თუ „როგოროო“? – გავიცინე;**

**მან სახის მიმიკით „მაპატია,**
**„არ ღირსო“, – თქვა და გამერიდა;**
**ვიღაც ქალი ჩემს სიტყვებზე**
**სახტად დარჩა,**
**თითქოს ჩამოფრინდა ღრუბლებიდან...**

## კოვიდი და კოცნები

**(ანუ: ყურმოკრული დიალოგი ბაღის კუთხეში)**

**– კოვიდი მაქვს,**
**არ მაკოცო,**
**გაიწიე, გადაგდებ!**
**ორი კვირა გასრულდეს,**
**მოიცადე ხვალამდე!**
**– ნუ მაშინებ,**
**ერთი კოცნა,**
**მხოლოდ – ერთი კოცნა!**
**ხვალამდეო? – რა მოიცდის!**
**სიკვდილია მოცდა!**
**უკოცნელადაც ხომ ვკვდები,**
**კოცნა მაინც შემრჩეს!**
**რას დამაკლებს ეგ კოვიდი**
**შენი კოცნის შემდეგ?!**
**– აღარ ვიცი,**
**რა ვიღონო,**
**შე ანცო და გიჟო.**
**ერთი კოცნა მითხარი და,**
**ნუ დამახრჩე, ბიჭო!...**



## მატარებლით: ,,ჰერი, ჰერი!“

**(მახსოვს: ომის მონაწილე ერთი იხუცი კაცი მატარებელში ჩაჯდეოდა და მთელ საბჭოთა კავშირს ფასოდ მოივლიდა. მას ამის უფლება ქონდა)**

**„ბერლინამდე მტერს მივდიე“, –**
**ყველას გააგებინა;**
**მედლები და ორდენები**
**ხომ სულ მკერდზე ეფინა;**
**ვეტერანის ბილეთ-წიგნაკს,**
**თავის გამოსაჩენად,**
**კონდუქტორის გარდა, ალბათ,**
**მილიონებს აჩვენა!**
**მატარებლის ბორბლების ხმა**
**მთელ სიცოცხლეს ერჩივნა!**
**უხაროდა, ის ქვეყანა,**
**ვეებერთელა და მძლავრი,**
**მან(ც) რომ გადაარჩინა!**

## საქართველოს მწერალთა კავშირის წევრს პოეტ *მარიზა ჯიქიას*

**ხელისუფლების „დონეს“ ქება-დიდებას**
**ვერ ვწვდებით,**
**არ გვაფასებენ,**
**მაგრამ რას ვიზამთ:**
**მერე ვეწევით,**
**როცა მოვკვდებით,**
**ჩემო მარიზა!**

**უშანგი ჯანგირაშვილი**
**(უჩა გოგოლაური)**

**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, „ოქროს კალმის“ მფლობელი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული პრემიის ლაურეატი, ღირსების მედალოსანი.**

მეუღლე ნანა გოგალაძე, შვილები მარიამი, საბა, ძმა ალექსი, და მანანა, ძმისშვილები, დისშვილები, ძიძე ჯამბული გოგოლაძე, ცოლისდა მარინა ოჯახებით, ნათესავები, ახლობლები ღრმა მ,წუხარებით იუწყებიან

**სოლომონ (სულიკო) გიორგის ძე მიქაბერიძის**

გარდაცვალებას დაიკრძალა ბაკურიანში 28 დეკემბერს.

ვენერა რაზმაძის და გიორგი გოგოლაძის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**მერაბ მანჩხაშვილი**

და უთანაგრძნობს გარდაცვლილის დას რუსუდან მანჩხაშვილს.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.

ნომრის პასუხისმგებელი მორიგე: უშანგი ჯანგირაშვილი.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ.№2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქ.№57.

borjomi@inbox.ru

რედაქტორი: ვალერიან ლომიძე

# ტრადიციული ტურნირი მესამედ გაიმართა

თბილისში, გლდანის ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულ ცენტრში წელს მესამედ ჩატარდა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, ოლიმპიური თამაშების ვიცე-ჩემპიონის შოთა ლომიძის სახელობის ტურნირი„ რომელშიც საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას. სულ შეჯიბრში 205 კადეტი იბრძოდა სანუკვარი ჯილდოს მოსაპოვებლად. ამჯერად შეჯიბრი 2007-2009 წლებში დაბადებულები ასპარეზობდნენ.

ტურნირი საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ხელმძღვანელობით და ლომიძეების საგვარეულო დარბაზის აქტიური თანადგომით გაიმართა.

შეჯიბრი ათ წონით კატეგორიაში ჩატარდა. უშელავათო ბრძოლაში გამოვლინდნენ გამარჯვებულები. ამჯერად კვარცლბეკზე უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ **მათე ცინცაძე** (ქუთაისი), **ლუკა ხელაძე** (თბილისი), **გიორგი მაისურაძე** (გორი), **მარი ლულუკიანი** (ნინოწმინდა), **თენგიზ ბარბაქაძე** (რუსთავი), **ლუკა ტატიშვილი** (გორი), **კონსტანტინე პეტრიაშვილი** (ამბროლაური), **ანდრო ხაბელოვი** (თბილისი).

გამარჯვებულები შესაბამისი ჯილდოებით და ლომიძეების საგვარეულო დიპლომებით დაჯილდოვდნენ.

**ვალერიან ლომიძე**

# პოზიციები გაიუმჯობესეს

**საქართველოს სკი კროსის ეროვნული ნაკრების წევრებმა 14 დეკემბერს, ჩეხეთში, FIS-ის ეგიდით ჩატარებულ შეჯიბრებაში წარმატებით იასპარეზეს და მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს სარეიტინგო ქულები:**

**დავით თედიაშვილი – მეორე ადგილზე გავიდა, ბექა ბერძენიშვილი – მეოთხეზე, ხოლო ლაშა კურტანიძე – მერვე ადგილს დასჯერდა.**

**(ჩვენი კორ).**

# როზალია სარიდის მონატრება

**ჩვენო მონატრებულო, საყვარელო დედა, ბებია! 29 დეკემბერს 92 წლის გახდებოდი. უკვე ექვსი წელია, ცრემლებით და სანთლებით გილოცავთ დაბადების დღეს. მეუღლესთან, ლაზარესთან ერთად – 52 წელი ტკბილად იცხოვრეთ. 13 ნოემბერს იქორწინეთ და სწორედ 13 ნოემბერს წახვედი ამ ქვეყნიდან, დედა! მამამ შენი სიკვდილი ვერ გადაიტანა, მესამე დღეს ავად გახდა, საავადმყოფოში წავიყვანეთ და ერთ თვეში გარდაიცვალა. სიყვარული და ერთგულებაც ეს არის!**

**ამბობენ, დრო მკურნალიაო. ტკივილს, რომელსაც უთქვენობა ჰქვია, დრო ვერ ერევა. შენი და მამის თბილი სიტყვები, დარიგებები, ყოველდღიურად ახლაც გზას გვინათებენ ცხოვრებაში. რამდენი რამ გვაქვს თქვეთვის სათქმელი, გვენატრებით უსაშველოდ...**

**დაბადების დღეს გილოცავთ, დედა! უფალს ებარებოდეთ!**

შვილები: **ზურაბ და ელლადა სარიდები, რძალი მელანო, შვილიშვილები: ლაზარე, ანა, მარიამი.**

# დათო პეტროსიანის გახსენება

**ცხრა წელია, რაც ჩვენს გვერდით არ ხარ... ძალიან ცოტა ხანი იყავი ჩვენს გვერდით. ახლა ოცდაორი წლის იქნებოდი, ვერ დავტკბით შენთან ყოფნით, არ შეგვერგო... გაუსაძლისია უშენოდ ყოფნა, ვერ ვურიგდებით ამას, ვერ ვეჩვევით... არ შრება თვალებზე ცრემლი, გული დარდისგან ილევა. ახლა ჩვენ შენთვის ახალი წლის მილოცვა გვინდოდა, მაგრამ ამის მაგივრად უმწარესი დღეების მოგონება გვიწევს, ხელიდან როცა გამოგვეცალე... ვლოცულობთ შენთვის, უფალს ებარებოდე, ჩვენო დათო!**

**დედა, ბებია, ბაბუა.**

# შმაგი რაზმაძის ხსოვნას

**ჩემო მონატრებულო შვილო, შმაგი, სამი წელი გავიდა, რაც დაგვტოვე. ოთხ იანვარს ტრაგიკულად დაიღუპე უცხო მიწაზე. შვილის გარდაცვალება დედისათვის სიკვდილის ტოლფასია. დრო ვერ კურნავს იმ ტკივილს, რომელსაც შენი დაკარგვით განვიცდით.**

**საუკეთესო შვილი, მეუღლე და ძმა იყავი. ადამიანი, რომელმაც სიკეთის წარუშლელი კვალი დატოვე მეგობრებში და იმ ქალაქში, რომელიც ესოდენ გიყვარდა. გიხსენებთ დიდი ტკივილით და მონატრებით. სანთელ-საკმეველი გინათებდეს სასუფევლის გზას.**

**დედა – ვენერა რაზმაძე, მეუღლე – თამარ მჟავანაძე, ძმა – ბესიკ რაზმაძე, რძალი – სოფიო ლომიძე.**